645
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1967 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



თბილისის ახალ რაიონს, საბურთალოს (საირმის ქუჩაზე) კიდევ ერთი ახალი სკოლა შეემატა. სწავლა დაიწყო 136-ე ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში. იგი ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელიც შეიქმნა საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან. ბავშვების ჟრიამულით აივსო სკოლის ეზო. გზა დაელოცოს ნორჩების ნიჭს, მათ მისწრაფებებს, ოცნებას მომავალზე!

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 10 წელი

10 წელი გავიდა იმ დღიდან, რაც საქართველოს ქალთა ჟურნალმა, კარგა ხნის დუმილის შემდეგ, განაახლა თავისი არსებობა და მკითხველის წინაშე ჯერ ,,საბჭოთა ქალის'', შემდეგ ,,საქართველოს ქალის'' სახელწოდებით წარსდგა.

ეს იყო 1957 წლის სექტემბერში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 40-წლოვანი იუბილეს წინადღეებში, და ეს თარიღი დიდი პასუხისმგებლობით, ახალი, დიდი ამოცანებით აღელვებდა ჟურნალის რედაქციის კოლექტივს, მის სარედაქციო კოლეგიას.

ჭეშმარიტად კეთილშობილური საქმე შეასრულეს ,,საქართველოს ქალის'' წინაპრებმა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, ახალი საზოგადოებრივი წყობილების საძირკვლებთან დაირწა ,,ამიერკავკასიის მაშვრალი ქალის'' აკვანი. შემდეგ ჟურნალს ,,ჩვენი გზა'' ეწოდა, შემდეგ — ,,მშრომელი ქალი''.

ქალის სრული განთავისუფლება საუკუნეობრივი მონობის ბორკილებისაგან, მისი გათვითცნობიერება და ფართოდ ჩაბმა ახალი ცხოვრების შენებაში იყო ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებთან არსებულ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებისა და მათი ორგანოს — ქალთა ჟურნალის ძირითადი დანიშნულება.

,,ამიერკავკასიის მაშვრალმა ქალმა'' 1922 წელს 800-იანი ტირაჟით იწყო გამოსვლა. შემდეგ, წელთა განმავლობაში, იზრდებოდა ჟურნალი როგორც ტირაჟით, ისე იდეური მიზანდასახულებით და მასთან ერთად, დღეთა სართულიდან-სართულებზე მაღლდებოდა მისი მკითხველიც.

1939 წელს შესრულებულად მიიჩნიეს ჟურნალის მისია და ,,მშრომელმა ქალმაც'' შეწყვიტა არსებობა.

მაგრამ წელთა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ქალს დედას, მეუღლეს, მეგობარს, ახალი ცხოვრების აქტიურ მშენებელს ჯერ კიდევ მრავალი სპეციფიკური ,,ქალური'' საბრძოლო ამოცანა გააჩნია.

და აი, 18 წლის დუმილის შემდეგ...

1957 წელი, ზაფხული.

ახლადდაარსებული ჟურნალის რედაქცია, რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია, მხატვრები, ავტორები, გულშემატკივრები...

რჩევა, ღელვა, კამათი... ახალი გზების, ფორმის, სიტყვის ძიება...

განსაკუთრებით ღელავს ჟურნალის რედაქტორი თეო აბაშმაძე.

...და ბოლოს ჟურნალის პირველი ნომრის დაბადება, პირველი სიხარული.

გავიდა წლები...

ვფურცლავთ ჟურნალებს... რამდენი საჭირბოროტო საკითხი, საინტერესო ბიოგრაფია, რჩევა-დარიგება...

ალბათ, ცუდად არ უშრომია ჩვენს ჟურნალს, თუ მისი ტირაჟი 10.000-დან სადღეისოდ 100.000-მდე გაიზარდა.

ყოველ ახალ დღეს მოსდევს ახალ-ახალი მოვლენები, ახალ საკითხთა რკალი, რომელიც დაუყოვნებლივ გაანალიზებასა და პასუხს მოითხოვს ჟურნალისაგან, და ,,საქართველოს ქალიც'' ცდილობს იყოს ამ მოვლენათა კურსში, ქალთა ინტერესების ცენტრში, იყოს მათი გმირული ბრძოლის, შრომის, ცხოვრების მემატიანე, მათი დამხმარე შვილების აღზრდასა და საოჯახო საქმიანობაში, მათი უახლოესი მრჩეველი და მეგობარი.

,,საქართველოს ქალის'' დაბადების 10 წლისთავი აღინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 50 წლისთავის ზეიმის წინადღეებში.

ეს გარემოება გვავალებს კიდევ მეტად ვზარდოთ ჩვენი პროფესიული დონე და ოსტატობა, უფრო ახლო დავდგეთ ჩვენს მკითხველებთან, უკეთ ვემსახუროთ მათ ინტერესებს.

ვუსურვოთ ჩვენს მუშაკებს, ავტორებს, მკითხველებს დიდი ბედნიერება და მრავალი წარმატება, ჟურნალ ,,საქართველოს ქალს'' — მეტი ზრდა და სრულყოფა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

# სიყვარულისა და მეგობრობის 30 წელი

ლ. კუნეცკაია

ემიგრაციაში გატარებული წლები ნაყოფიერი შრომით იყო სავსე.

სამშობლოსაგან მოშორებით ლენინი მძიმე ბრძოლას ეწეოდა მენშევიკებთან და სოციალ-გამცემლებთან. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებაში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დამსახურებაც იყო. უზარმაზარი პარტიული მიმოწერა, დაუსრულებელი და გასაშიფრავი სამუშაო-და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მაინც არ იღლებოდა. მაგრამ მისი ჯანმრთელობა უარესდებოდა, დაეწყო ბაზედის დაავადების მოვლენები. განსაკუთრებით მძიმე იყო 1913 წელი, როცა ისინი კრაკოვში ცხოვრობდნენ. სპეციალისტები არწმუნებდნენ, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს მოუხდებოდა მთის ჰაერი, და ზაფხულში ისინი სოფელ პორონინოში, კრაკოვის მახლობლად გადავიდნენ. ამ პერიოდში ლენინის ინიციატივით პეტერბურგში გამოსვლა იწყო ჟურნალმა „რაბოტნიცამ“, და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იყო.

მსოფლიო ომმა მათ გალიციაში მოუსწრო. ვლადიმერ ილიას ძეს აპატიმრებენ, ბრალად სდებენ ჯაშუშობას და ათავსებენ ნოვი ტარგის ციხეში. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ხშირად მიდიოდა მის სანახავად პორონინოდან, და მიაღწია მის განთავისუფლებას. ლენინი ციხიდან გამოუშვეს და მათ გალიციის დატოვება მოუხდათ.

თებერვლის რევოლუციის ამბავი ლენინმა და კრუპსკაიამ შვეიცარიაში გაიგეს. წუთითაც არ შეპარვიათ ეჭვი, რომ მათი ადგილი რუსეთში იყო. დიდის გაჭირვებით, ავსტრიული სოციალ-დემოკრატების დახმარებით მოპოვებულ იქნა რუსი ემიგრანტების გამგზავრების ნებართვა გერმანიის გავლით.

განა ბევრია ცხოვრებაში ისეთი ბედნიერი წუთი, როგორიც ფინეთის სადგურზე შეხვედრა იყო? რა ბედნიერი იყო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და პირველ რიგში ლენინის გამო. მას სიხარულის ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე, როცა დაინახა, როგორ აჰყავდა ასეულ ხელს

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საქართველოს ქალი“, № 8.



ვ. ლენინი, ნ. კრუპსკაია და ა. ულიანოვა გორკაში.

ვლადიმერ ილიას ძე ჯავშნოსანზე. ის კი აღელვებული, ხალხის ზღვაში ისვროდა დიად სიტყვებს სოციალისტური რევოლუციის შესახებ.

შემდეგ —ოქტომბრის წინა დაძაბული თვეები: დროებითი მთავრობის შემოტევა, კვლავ იატაკქვეშეთი. ივლისის ამბების შემდეგ ლენინი რაზლივში ცხოვრობდა. როცა შემოდგომაზე ლენინი ფინეთში გადავიდა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მისგან წერილებს იღებდა. ბოლოს ლენინმა შეატყობინა, რომ შეუძლია ჩავიდეს მასთან. კრუპსკაია გაემგზავრა საზღვარზე მცხოვრები აგაფია ატამანოვას პასპორტით, რომელსაც ნება ჰქონდა გადასულიყო ფინეთის საზღვარზე სესტრორეცკის ახლოს. დაცულია ფოტო, საიდანაც მუშა-ქალის თავსაფრის ქვეშ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ასეთი ნაცნობი თვალები იყურება. ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი უთამაშებს.

დიდი ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებსა და ღამეებში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მომხდარი ამბების შუაგულში იყო. გარეგნულად მშვიდი და დარწმუნებული, ის ძალიან დელავდა ვლადიმერ ილიას ძის გამო, რომელსაც სულ არ ეძინა და თითქმის არაფერს ჭამდა.

1918 წლის მარტში საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი პეტერბურგიდან მოსკოვში გადაიტანეს. ვლადიმერ ილიას ძე იყო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მეთაური. მძიმე დროება ჰქონდა ახალგაზრდა რესპუბლიკას: შიმშილი, სიცივე, ინტერვენცია. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. იმ დაძაბულ პერიოდში ლენინი 12-18 საათს მუშაობდა დღე-ღამეში. მუშაობის ტემპი „გიჟური“ იყო, როგორც ამბობდა თვით ვლადიმერ ილიას ძე.

ოჯახი დასახლდა პატარა ბინაში სახკომსაბჭოსთან ახლოს. ამჟამად ამ ოთახებში გავლისას უნებურად აღნიშნავ: არსად არაფერია ზედმეტი, არსადაა მორთულობა და მაინც სიმყუდროვეა. ყველას თავისი ოთახი ჰქონდა, რადგანაც სახლში ყველანი ბევრს მუშაობდნენ.

ათეული წლების მანძილზე პარტია ხედავდა ორ ქალს ლენინის გვერდით, ცოლს და დას, — იგონებს მიხეილ კოლცოვი. დიდი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდათ ერთმანეთთან ვლადიმერ ილიას ძეს და მარია ილიას ასულს.

კრემლის ბინაში ლენინის დაჟინებით მას ჰქონდა ყველაზე დიდი, მყუდრო ოთახი. მარია ილიას ასული ყოველგვარ ნორმასა და ძალაზე მეტს მუშაობდა, სახლში ხშირად ღამით ბრუნდებოდა და ვლადიმერ ილიას ძე მუდამ წუხდა, ძალიან ხომ არ გადაიღალა მარია სამუშაოზეო...

ძალიან უყვარდა ვლადიმერ ილიას ძეს, როცა სადილად მთელი ოჯახი იკრიბებოდა. თუ ის პირველი მოვიდოდა შინ, მაშინვე ურეკავდა განათლების სახალხო კომისარიატში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, თხოვდა აუცილებლად მოსულიყო სადილად. მან იცოდა, რა დაძაბული სარედაქციო მუშაობა იყო „პრავდაში“ და როცა ურეკავდა მარია ილიას ასულს, ეშმაკურად ეკითხებოდა, აპირებს თუ არა საერთოდ დღეს სადილობას. და როცა ყველანი იკრიბებოდნენ,

აუცილებლად იწყებოდა ძალდაუტანებელი საუბარი, ზოგჯერ ხუმრობაც.

მარია ილიას ასული უძღვებოდა ლენინის საოჯახო მეურნეობას: ყიდულობდა პროდუქტებს, ტანისამოსს, საცვალს, ფეხსაცმელს და რაც ყველაზე მთავარია, ზრუნავდა ვლადიმერ ილიას ძეზე, ცდილობდა რომ მას დაესვენა სახლში, კვირაობით კი ქალაქგარეთ მოგზაურობის ინიციატორი იყო.

1918 წლის 30 აგვისტოს მარია ილიას ასული ავად იყო. როცა ვლადიმერ ილიას ძე მიტინგზე წასვლის წინ მასთან გამოსათხოვებლად შევიდა, დამ თხოვა ისიც წაეყვანა. „არავითარ შემთხვევაში. იჯექი სახლში“ უპასუხა მან და წავიდა. პირველად დამ გაიგო უბედურება — ესერი-ტერორისტის, კაპლანის ლენინზე თავდასხმა. მას დაავიწყდა ავადმყოფობა და დაჭრილი ძმის გვერდით გაჩნდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის შესახვედრად მძღოლი გილია გაგზავნეს. სახეზე რომ შეხედა, კრუპსკაია ყველაფერს მიხვდა, და მხოლოდ ეს ჰკითხა: „მითხარით მხოლოდ, ცოცხალია თუ არა?“ და რომ გაიგო ცოცხალი იყო, სახლში გაიქცა.

დაიწყო ლენინის ავადმყოფობის დღეები. კვლავ არ ეძინათ მარია ილიას ასულს და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, ფხიზლად უგდებდნენ ყურს ყოველ გაფაჩუნებას ვლადიმერ ილიას ძის ოთახში. ლენინმა რომ გამოჯანმრთელება დაიწყო, გორკაში გადავიდნენ. აქ ვლადიმერ ილიას ძემ კვლავ შეძლო მუშაობის დაწყება.

თვით ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ჯანმრთელობა შერყეული იყო. 1919 წლის შემოდგომაზე მას დაეწყო ბაზედის დაავადების მძიმე რეციდივი და სანატორიუმის მაგივრად ის სოკოლნიკის სატყეო სკოლაში დაწვა. მასზე კარგად იმოქმედა გარემომ, ბავშვები მალე დაუმეგობრდნენ. მის სანახავად ხშირად ლენინიც მოდიოდა და ბავშვები ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ. სწორედ აქ, სატყეო სკოლაში, ბავშვებთან ერთად შეხვდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და ვლადიმერ ილიას ძე 1919 წელს.

რევოლუციის მერე ლენინი და კრუპსკაია ყოველთვის ერთად იყვნენ. მხოლოდ ერთხელ დაშორდნენ ერთმანეთს ორი თვით, როცა 1919 წლის ივნისში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვოლგაზე და კამაზე სააგიტაციო გემით „წითელი ვარსკვლავით“ გაემგზავრა.

დიდხანს ინახავდა კრუპსკაია იმ ორ წერილს, რომლებიც მან ვლადიმერ ილიას ძისგან მიიღო ამ მოგზაურობის დროს. წერილები სავსე იყო მზრუნველობითა და შეშფოთებით ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ჯანმრთელობის გამო. მომქანცველი მოგზაურობის მიუხედავად ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მომაგრებული და გამოჯანმრთელებული დაბრუნდა. ოჯახი კვლავ ერთად იყო.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გარემოების დიდ პატივისცემას იწვევდა. მცდარი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ კრუპსკაია კრემლში „ლენინის ცოლის“ როლს ასრულებდა

ერთხელ ინგლისელმა ჟურნალისტკამ ინტერვიუ მოაწყვეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან, შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა დიდი სტატია „პირველი ლედი“. მასში დაწვრილებით იყო აღწერილი მისი სადა ჩაცმულობა, ყოველგვარი პოზის უქონლობა და ამასთანავე, ღირსებით სავსე თავდაჭერა. ვლადიმერ ილიას ძე ბევრს იცინოდა ამ გაოცებულ ავტორებზე და მას შემდეგ თავის ცოლს ხშირად ხუმრობით „პირველ ლედის“ უწოდებდა.

ჯონ რიდის ცოლი, ცნობილი ჟურნალისტი, ლუიზა ბრაინატი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი ყოფნისას ხვდებოდა ლენინს, თავის მოგონებებში წერდა: „ლენინი აღმერთებს ცოლს და სიამოვნებით ლაპარაკობს მასზე. როგორღაც მე ვუთხარი, რომ მსურს მისი გაცნობა. მან მითხრა: დიახ, აუცილებლად, თქვენ ის მოგეწონებათ, ის ძალიან ჭკვიანი ქალია“.

ლენინსა და კრუპსკაიას კარგი ტრადიცია ჰქონდათ: მარტო აღენიშნათ ლენინის დაბადების დღე. ჩვეულებრივად, აპრილში მოსკოვის ახლოს თბილა, იშლება პირველი ფოთლები, ოცდაორ აპრილს ისინი მიდიოდნენ ტყეში, იგონებდნენ წარსულს, მაგრამ უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ მომავალზე, მას ხედავდნენ სულ ახლოს, მისი შესანიშნავი შენობა იზრდებოდა მათი გონების თვალწინ და ისინი იყვნენ ამ შენობის შემქმნელნი...

ასე ერთად გაიარეს მათ მთელი გზა, ოცდაათწლიანი გზა სიყვარულისა და მეგობრობისა...

# ოქტომბრიდან [illegible]

სიგრძეზე თუ სიგანეზე მანქანების მწკრივებია. ერთგან რომ ნართი ირთვის, მეორეგან — იქსოვება. ხმაურია, განსაკუთრებით — საქსოვში; მექანიკური და ავტომატური დგიმები ადი-ჩამოდიან, ნელა, ძალიან ნელა, თუმც თვალისათვის კარგაშესამჩნევად ბრუნავს სახვეველა და მზა ქსოვილი გადააქვს.

ამ მანქანებს აქვთ თავიანთი მკაცრად გამოზომილი გულისცემა, გულისცემის თავიანთი სიხშირე ვერც აუჩქარებ, ვერც შეანელებ; რაც იმთავითვე მიუნიჭებიათ, ეგ არის და ეგ. თუნდაც ყველაზე საუკეთესო მქსოველი დაუყენეთ, ზღვრული წარმადობის იქით ვერ გადააბიჯებს — მანქანაა და ვერც შენი გეგმებისას შეასმენ, ვერც შენი საჭიროებისას.

და რახან მქსოველს თუ მრთველს მანქანების რიტმის აჩქარება არ შეუძლია, თვითონ უნდა აჩქარდეს, რომ მისგან მაქსიმუმი მიიღოს. სწორედ ეს მაქსიმუმი განასხვავებს მომუშავეთ ერთმანეთისაგან: ზოგი ისე სწრაფად აღიქვამს მანქანების სახსართა მოძრაობას, ისე გრძნობს სამას თითისტარში ერთის ხმა რომ გამოაკლდება, ან ძაფი ჩაწყდება რომელიმე საქსოვ დაზგაზე (ისინი ხომ ერთდროულად რამდენიმეზე ქსოვენ), რომ მაშინვე იქ გაჩნდება და წამში გააბამს, დამდგარს თუ წუნისმკეთებელ მანქანას კვლავ საერთო დგრიალს შეუერთებს.

რაც უფრო დახელოვნებულია მუშა, მით უფრო დახვეწილია მისი ყურადღება, მით უფრო მოხერხებულად მოძრაობენ მისი თითები.

საამქროში რომ შეხვიდეთ და დაზგებს ჩაუაროთ, მოგეჩვენებათ, თითქოს არც ისე ხშირია წყვეტიანობა და ოსტატობით მოგებულ დროზე არც ღირს ლაპარაკი.

მაგრამ თუ საქმეში ჩაიხედავთ, ირწმუნებთ, რომ დაზოგილმა დრომ ორ წელიწადში შეიძლება სამ თვესაც გადააჭარბოს, ხოლო ზეგეგმითმა ქსოვილმა — ათიათასობით მეტრს.

ამის შესახებ არაერთხელ თქმულა. მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებული და საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა მაშინ, როცა კოსტრომის ვ.ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატის მქსოველმა ვ. პლეტნევამ განაცხადა: ხუთწლიან გეგმას ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის, ე. ი. ოთხ წელიწადსა და სამ თვეში შევასრულებ, პირველი ორი წლისას კი — ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის — წელიწადსა და 9 თვეშიო. თაოსანს ოთხივ კუთხეში დაუკრეს.

მრავალი მომხრე გაუჩნდა მას საქართველოშიც. საუკეთესო ფეიქრებმა ჯერ თავისთვის გაიანგარიშეს დაზგებთან მოგებული დრო და როცა დარწმუნდნენ, რომ არ შერცხვებოდნენ, თავი პლეტნეველებად ჩათვალეს. ერთ-ერთი პირველნი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ფეიქრები აღმოჩნდნენ. იმის შემდეგ, რაც საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს ვერა ჯორბენაძეს საამქროებიდან მოწინავეთა აზრი გააცნეს, რიგ-რიგად იმართე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერი იასეშვილი



ელისაბედ ქვათაძე

ბოდა მუშათა სჯა-ბჴასი, დააზუსტეს, აწონ-დაწონეს შესაძლებლობები.

პირველ პლეტნეველთა ეს ვალდებულებები — მუშათა ეს პატიოსანი დაპირებები — ახლა საიმედოდ ინახება საამქროების პროფკავშირულ კომიტეტებში. ნორა ბაგალიშვილი ამგვარი ფურცლების მთელ დასტას უჩვენებს დაინტერესებულს, აი, რას სწერს მერი იასეშვილი: „ვიღებ ვალდებულებას, პლეტნევას ვადებში ჩავეტიო. ხუთწლიან გეგმას შევასრულებ 9 თვით ადრე და ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმის ზევით გამოვუშვებ 7.119 მეტრ ხამ ქსოვილს, პირველ ორ წელიწადში დაზოგილი სამი თვით კი 2.931 მეტრ ზეგეგმით ქსოვილს მივუძღვნი ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო წელს".

მერი იასეშვილი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრია. ბრიგადა კომუნისტური შრომის ცვლაში შედის. დიდიხანია თავადაც კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას ატარებს. რაც ვაქირის საშუალო სკოლა დაამთავრა, დაზგებთან დგას და ოთხ ავტომატურ დაზგაზე კამვოლს უწუნოდ ქსოვს. დღე-ღამეში 150-მდე მეტრი საკოსტუმე იხსნება მისი მანქანებიდან. დაპირება, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ, შარშანაა დაწერილი. როცა ვალდებულებამდე და ვალდებულების შემდეგ მიღწეულ შედეგებს აჯამებენ, თვალსაჩინო განსხვავებას პოულობენ. მერიმ არა მარტო გეგმის შესრულება გაზარდა და ხარისხი გააუმჯობესა, ვალდებულებაც უკან მოიტოვა, „მაინც ნაჩქარევად ნუ ვილაპარაკებთ შედეგებზე — მოკრძალებით ამბობს იგი, — ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო".

საქსოვი საამქროდან, სადაც ასი ავტომატური კამვოლური, 146 მაუდის მექანიკური საქსოვი და 20 უახლესი ტიპის დაზგა განუწყვეტელ სადღეღამისო გუგუნ-გრიალშია, გრძელი დერეფნის გავლით პირდაპირ კამვოლური ქაფის სართავ საამქროს შეგიძლიათ ესტუმროთ. ყველაზე უწინ თქვენს თვალს მოიტაცებს პატარა წითელი დროშა, რომელსაც აწერია: „აქ მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადა. ბრიგადირი ვერა ქემაშვილი".

ვერა ქვეოსტატია. იშვიათად არის ქალი ქვეოსტატად. 17 აგვისტოს შესრულდა 18 წელი, რაც ქემაშვილი მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმიდან პირდაპირ კომბინატში მოვიდა. ტექნიკურ კონტროლიორად მხოლოდ ერთ წელიწადს იმუშავა. იქიდან მოყოლებული სართავი მანქანების მკურნალი და მესაიდუმლეა. უთანაბროდ ეხვევა ძაფი? ვერა ორასთითისტრიანი მანქანის ერთ მხარეს გააჩერებს და თაროს მამოძრავებელ მექანიზმს დაუწყებს გასწორებას; წყვეტიანობა მოხშირდა? მაშ, დოლია დაზიანებული და ვერა დოლს მიეშველება; ცილინდრები გაჩერდა? — დიდი ჯაჭვი გაწყვეტილა და ეგ არის.

ვერამ, რომ იტყვიან, ხუთი თითივით იცის სართავი მანქანები, წუთში ხვდება დაბრკოლების მიზეზს და ისეთივე სიზუსტითა და სიჩქარით ხელმარჯვობს ხოლმე, როგორც მისი ბრიგადის წევრები. ბრიგადა კი პატარა როდია, 14 დაზგას 9 მრთველი, 7 ნართის მომხსნელი და ერთი მზეთავი ემსახურება. ის წარწერიანი წითელი დროშა ერთ-ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც კომუნისტური შრომის მოძრაობის დასაწყისში მოწინავე კოლექტივებს მიაკუთვნეს. ასეთი წარმატება არც მოულოდნელი იყო, არც გასაკვირი. ვერა ქემაშვილის ბრიგადა ჯერ კიდევ ექვსი წლით ადრე ფლობდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სიგელს — საუკეთესო ხარისხის ბრიგადებისათვის განკუთვნილს.

და ვინ უნდა მოხვედრილიყო პლეტნევას მიმბაძველთა პირველ რიგებში, თუ არა ვერა ქემაშვილი. შარშან ბრიგადამ 5 ტონა ნართი ჩააბარა გეგმის გადამეტებით. წელს ხუთ თვეში 3.500 კილოგრამი ზეგეგმითი ნართი გამოუშვეს. საშვიდნოემბროდ ბრიგადა ორი წლის გეგმას შეასრულებს.



ვერა ქემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ავად გახდა რომელიმე მრთველი, მაშინ ხომ გამტყუნდა მიცემული სიტყვა? მომხსნელი შესცვლის მას, დაზგა კი არ გაჩერდება. დანაპირები უსათუოდ შესრულდება. უპირობა არ სჩვევია ვერას. შემთხვევით როდი ატარებს იგი საუკეთესო მრთველისა და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელს.

ელისაბედ ქავთარაძეც მრთველია, მაგრამ მაუდის ძაფისა. 19 მეტრის სიგრძის დაზგებზე 300 თითისტარი ბრუნავს და ცვლაში 200-220 კილოგრამი ნართი ირთვის. ელისაბედი 27 წლისაა. ფასანაურის მახლობლადაა მისი პატარა სოფელი ხევშა. ქალიშვილი ჯერ კოლმეურნეობაში მუშაობდა და შემდეგ ქალაქს ჩამოვიდა. ექვსი წელი ამ დაზგასთან დგას და უკვე სახელმოხვეჭილი მრთველია. ცვლის ოსტატი ცაცა ჯანელიძეც ემადლიერება ახალგაზრდა ფეიქარს. კომუნისტური შრომის საპატიო წოდებას ატარებს ცვლაცა და ბრიგადაც და ამიტომ თითოეულის პასუხისმგებლობაც დიდია. 120 პროცენტით და მეტით ასრულებს თვიურ გეგმებს ელისაბედ ქავთარაძე. ეს ციფრი იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური შრომის დამკვრელი ქალიშვილის სართავი დაზგები თითქმის გაუჩერებლად მუშაობს. ამ დაზგებმა წლევანდელ 9 თვეში 11 ტონაზე მეტი ზეგეგმითი მაუდის ძაფი გამოუშვეს, ხოლო წლის ბოლოს ნართის საერთო წონა 60 ტონამდე აღწევს. ასნახევარს აღემატება ელისაბედისნაირთა რიცხვი კომბინატში. ასნახევარი ცოტა როდია, როდესაც გაითვალისწინებ, რომ პლეხნეველის სახელის გასამართლებლად საჭიროა მხოლოდ უზუსტესი, კვალიფიციური შრომა.

მაუდ-კამვოლის კომბინატი ერთადერთი საწარმო როდია, სადაც პლეხნეველთა მოძრაობამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ჩვენი დედაქალაქის ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიცაა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. ფართოდ გავრცელდა კოსტრომელი მქსოველის თაოსნობა. ეს არცაა გასაკვირი: წამოწყება ხომ სწორედ ისეა ჩაფიქრებული, რომ მის მიერ მოპოვებული ყველა სიკეთე დიად თარიღებს ეძღვნება. ქართველმა ფეიქრებმა კი, რომელთაც სურდათ ამ სამახსოვრო დღეებში გამორჩეული საჩუქრებით ესახელებინათ თავი, პლეხნევას იდეა სიხარულით აიტაცეს.

აიტაცეს იგი: მერი მოსეშვილმა, ლენა სულაბერიძემ, ეკატერინე ხინჯიგაშვილმა, ნინო ადიშვილმა, ეკატერინე მეხაშიშვილმა, ციალა ბურდულმა და სხვებმა — სულ აბრეშუმის 123 მქსოველმა და ძაფის მგრეხავმა.

და ყოველდღიურად „ა“, „ბ“ თუ „გ“ ცვლებში თითქმის განუწყვეტელი რიტმით მოძრაობენ დგიმები და სავარცხლები, თითისტრები და კოჭები, იგრიხება, იხვევა ნართი, იქსოვება აბრეშუმი და კაპრონი.

ასეა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.

ასეა ბევრ დიდსა თუ მცირე საწარმოში.

რომელი ერთი მოვთვალოთ.

დაე, თვითონ სახელოვანმა 50-ე ოქტომბერმა მიითვალოს ყველა ძღვენი და საჩუქარი, რომელსაც მას ასე გულმოდგინედ და სიყვარულით უმზადებენ ქართველი ფეიქრები.

ეთერ სახვაძე

# ახალი ლექსები

## ლია ასათიანი

### რიტმი ხარაჩოებიდან

მოსჩანს გაღმა სერი,
და ტყე ალმაცერი
დაჰყრდნობია სერს.
აქ კი უდაბნოა,
ასკილი და წყავი
მოუთხრიათ წელს.
და როგორც მოზვერი,
ტლანქი ბულდოზერი
ბღავის, მიწას ხრავს.
ჭრელი თავსაფარი
გადაუკრავს თავზე
ახალგაზრდა ქალს.
მიხაკისფერ სახეს
მზეს არ მოარიდებს,
არ დაზოგავს მკლავს.
სახლის სახურავზე
საშენებლად ასულთ
მიაწოდებს აგურს,
აუგზავნის კირს.
და თუ კი ცერებზე
შემდგარი სახლიდან
მასთან საუბარი
შორია და ჭირს,
სათქმელის სანაცვლოდ
მიხაკისფერ ასულს
გადმოუგდებს ვაჟი
იასამნის რტოს.
და როგორც მირაჟი
ქუჩები, ბაღები
გადიშლება როს,
მშენებლები ისევ
ახალ უდაბნოს გზას
გაჰყვებიან შორს.



## გუდუ კუპატაშვილი
ქუთაისი

### არა თქვათ

არა თქვათ, თითქოს ჩემში ღმერთია,
და ნუ დამწამებთ ჰანგის სიახლეს,
მე გული ჯერ არ დამილევენთია,
მე ჯერ ბრმა ვარ და ვეძებ სინათლეს.

ვეძებ სიმღერას ნაზს და ნებიანს,
და ვეფერები სიტყვას, ვით ბავშვებს.
ჩემი სიმღერა ჯერ ხომ გზებია,
და არ მგონია, ამაოდ დაშვრეს.

ჩემში სულს გულის ძახილი ესმის,
და სიყვარულის მადევს ხუნდები,
მე ძახილი ვარ მომავალ ლექსის,
და გაბნეული წიგნის ფურცლები.

### ქვები

და განა მარტო ადამიანი?!
იცინიან და ტირიან ქვები,
ქვებში სიცოცხლის ძალა ხმიანობს,
ქვების სუნთქვაა ამაყი მთები.

ქვები არ არის მარტო სიკვდილი —
სიცოცხლეს ნიშნავს საფლავის ლოდიც,
მარმარილოთა მსუბუქი ჩრდილი
არის დამტევი გრძნობის და შფოთვის.

ქანდაკებები ქვების აზრია,
პირამიდები ოცნება ქვათა,
ზეცა მზიანი ქვების ჰალია,
ქვები ძეგლია გარდასულ ხალხთა.

დრო ქვების მკერდზეც სტოვებს
იარას —
გახსოვდეს, როცა ქვებს შეეხები...
რომ უკვდავებას მთები კი არა,
ქვებიც ღაღადებს უკვდავ ძეგლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# ფაცია

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

ბათუმში ლიტერატურული საღამო გავმართეთ. იქიდან, სამტრედიაზე გამოვლისას, სოფელ ეწერში, ერთმა ახლო მეგობარმა შეგვიპატიჟა და ღამე იქ გავათიეთ.

ვახშმობისას, მასპინძლის დედამ ბევრი ისეთი რამ გვიამბო, რომ მართლაც გულიანად ვიცინეთ. ტანმორჩილი მოხუცი იყო, მხიარული, მეტად გონებამახვილი. შფოთიანი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი და ამიტომ საამბობელი ბევრი ჰქონდა — სამწუხაროც და სასაცილოც.

მოხუც დიასახლისს სახელად ანეტას ეძახდნენ.

შუა ვახშმის დროს შვილმა სთხოვა მოხუცს: დედა, ფაციას ღალატის ამბავი მოგვიყევიო.

მოხუცს ღიმილმა გაუნათა სახე და აი, რა გვიამბო:

* * *

— ცხრაასორი წელი იყო. იმ ხანებში ნიჟნინოვგოროდელმა დიდვაჭარმა შილინმა, სამტრედიაში, ჩალის ფასად იგდო ხელთ მიწის ნაკვეთი და ზედ აბრეშუმსახვევი ფაბრიკა ააშენა. დაზგები და მთელი მოწყობილობა საფრანგეთიდან ჩამოიტანა. ეს პირველი ფაბრიკა იყო საქართველოში, რომელიც ელექტროდენს იყენებდა.

სულ მალე ძაფის ამოხვევა დაიწყეს. მერე, ის ფაბრიკა, შილინმა საიდანღაც გადმოხვეწილ ფრანგ ბილიონს მიჰყიდა, ხოლო მან, თავის მხრივ, იჯარით გადასცა იტალიელ ბოჯის.

ფაბრიკაში სამასამდე მუშა-ქალი იყო. ჯერ ახლო სოფლებიდან — დიდი ჯიხაიშიდან, ჭაგნიდან, მუხაყრუადან და ტობანიერიდან მოაწყდა ხალხი, მერე გურია-სამეგრელოს სოფლებიდანაც დაიძრნენ. მაგრამ, ლუკმა-პურის საშოვნელად ჩამოსული ქალიშვილები ძალიან ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. მიწას მოწყვეტილი, ეშხითა და სიცოცხლით სავსე სოფლელი გოგოები ფესვებდაჭრილი ყვავილებივით ჭკნებოდნენ.

უკვე პირველსავე წელს ოცდაათი მუშა-ქალი ისე დაშავდა, რომ მუშაობას ვინ ჩიოდა, სიარულიც აღარ შეეძლოთ.

ვიყავით ასე შავ დღეში, ვინ იყო ჩვენი ქომაგი, მოსარჩლე? არავინ. მაგრამ რა ვიცოდით, თურმე ჩვენცა გვყავდა პატრონი და გულშემატკივარი: ერთ დღეს „ივერია" მივიღეთ, წერილი იყო ჩვენს ფაბრიკაზე — „ფაბრიკა კი არა, ჯოჯოხეთიაო, ჩვენს დებსა და შვილებს, გარდა იმისა, რომ დღედაღამ თითქმის მუქთად ამუშავებენ, ზედამხედველები კიდევაც ულმერთოდ სცემენ. დაირღვა, დაინგრა და წაიღო ყველაფერი წყალმა, საქართველოში ვის გაუგია კაცმა ქალს შემოჰკრასო". მალე „კვალმაც" ამოიღო ხმა. ჩვენ გული მოგვეცა, მაგრამ ზედამხედველებზე მაინც არაფერმა გასჭრა. სამუშაო დღე ისევ დილის შვიდ საათზე იწყებოდა და საღამოს შვიდზე მთავრდებოდა, უსამართლო ჯარიმებს ხომ ხელფასის თითქმის ნახევარი მიჰქონდა.

აღარ იყო საშველი, არ ვიცოდით, რა წყალში ჩავცვივნილიყავით.

იმ ხანებში, ჩემს ბინაზე ჩვენი ფაბრიკის გოგოები იყრიდნენ თავს. ვიფიქრეთ, ვილაპარაკეთ, გადავწყვიტეთ და კიდეც შევასრულეთ — წითელი დროშა შევკერეთ და ამოვქარგეთ. ჩუმად შევინახეთ, როცა საჭირო იქნებოდა, საჯაროდ გამოგვეტანა. მთელ საქართველოში ის-ის იყო იწყებოდა მოძრაობა...

ერთხელ, დილით, საამქროში ზედამხედველი რაღაცაზე წაელაპარაკა მუშა-ქალს, იმანაც სიტყვა შეუბრუნა, ზედამხედველმა ხელი ჰკრა და დაზგაზე მიაგდო, ქალმა თავი ვეღარ შეიმაგრა, დაეცა და საფეთქელი დაჰკრა... არავის არ გაუცია ბრძანება, მაგრამ მთელი საამქრო ერთბაშად გაჩერდა. მივცვივდით, წამოვაყენეთ, სისხლი ჩამოვბანეთ. ბრაზმა და წყენამ ისე ჩაგვიწყვიტა ხმა, ვერაფერი ვთქვით. ბოლოს, გადავხედე ქალებს და ვუთხარი:

— დებო, როდემდის უნდა ვითმინოთ? ეს რა არის, რას ვხედავთ, რას ვუცქერით? არავინ ხვალ აქ მოსვლა არ გაბედოს, ჭირსაც წაუღია ეს ფაბრიკა. ვნახოთ, ვინ უფრო მეტად იზარალებს? დავიფიცოთ, რომ ხვალ სამუშაოდ არავინ არ გამოვა!

წამოვიყვანეთ ჩვენი მეგობარი და წამოვედით. ეს იყო ჩვენი პირველი გაფიცვა.

იტალიელი მეპატრონე იმ დღეს ფაბრიკაში არ იყო, ბათუმში ყოფილიყო წასული, მეორე დღეს რომ დაბრუნდა და თავისი საწარმო უქმად გაჩერებული დაუხვდა, კინაღამ ელდა ეცა. მუშები არ გამოცხადდნენ, გარდა ერთი ქალიშვილისა — ფაცია ერქვა სახელად, სამტრედიაში სურების მთებიდან იყო ჩამოსული დედასთან ერთად; ლამაზი გოგო იყო, მაგრამ საცოდავი, მობუზული და მუდამ დამფრთხალი. აი, ამ ფაციას შეშინებოდა და სამუშაოდ წასულიყო. იტალიელს თურმე ისე გაუხარდა მისი დანახვა, ჯერ ხელზე აკოცა, რაც ფაციას სიცოცხლეში პირველი იყო და ალბათ უკანასკნელიც, მერე ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ალერსით უთხრა:

— სენიორა, ვფიცავ მადონას, ისეთ საჩუქარს გიყიდი, თუ ამხანაგებსაც მოიყვან...

მაგრამ საწყალ ფაციას რა შეეძლო! ფაბრიკა ჯერჯერობით უმოქმედოდ იდგა.

* * *

იმ ღამით ფაციას ოდის კარზე ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა.

— მიშველე, ნენა! — ამოიკვნესა ფაციამ.

დედა დაფეთებული წამოვარდა, კარისაკენ გასწია, მაგრამ არ გააღო, მხოლოდ ეს გასძახა:

— ვინა ხართ ამ შუაღამეზე, რა გინდათ?

— კარი გააღეთ! ჩვენ რაზმელები ვართ! — მოისმა ბოხი ხმა.

დაკარგეს ფერი დედამაც და შვილმაც.

— მარტო ქალები ვართ, უცხო კაცს ამ შუაღამეზე სახლში ვერ შემოვუშვებთ!

— ახლავე გააღეთ კარი, თქვე მოღალატეებო, ბურჟუაზიის ლაქიებო! — მოისმა ისევ ბოხი ხმა, — გირჩევნიათ, არ გაგვაბრაზოთ!

ფაციას დედამ ხელის კანკალით გადასწია ურდული, ოდაში ორი შეიარაღებული რაზმელი შევიდა. ერთი ტანმორჩილი იყო, მეორე მაღალი. ხშირი, შავ-შავი წარბები ჰქონდათ ტყის ძმებს, გრძელი ულვაშები; ჩოხები ეცვათ, მკერდზე გადაჯვარედინებული ფალასკებით; თავები ჩაბალახებით ჰქონდათ წაკრული და ხელში ბერდენის თოფები ეჭირათ.

ტანმორჩილი რაზმელი (ეტყობოდა, უფროსი ის იყო) წინ წადგა და ფაციას მრისხანედ უთხრა:

— დღეს სად ბრძანდებოდი, ცავ?

ფაციას ენა ჩაუვარდა, თავის მართლებაც კი ვეღარ შესძლო. მაშინ რაზმელი დედამისს მიუბრუნდა:

— თქვენმა შვილმა ფიცი გატეხა, ხალხს უღალატა. ერთობამ მის დასასჯელად ჩვენ გამოგვგზავნა, — მერე ისევ თითქმის გულშეწუხებულ ქალიშვილს მიუბრუნდა, — ჩეიცვი, ცავ, ახლა და ტყეში წამოგვყევი, პასუხს იქ გაგცემთ.

მერე ამხანაგს უთხრა:

— შეხედე, ბიჭო რა ციცა ყოფილა აი წყეული, ცოდვა ქეა მაგის მოკვლა, მაგრამ მეტი გზაი არაა!

— მართალი ხარ, — ამოიოხრა მეორემ, — მაგი სიკვდილიზა ძნელი გასამეტებელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთია ფაცია, ლამის გათავდეს და მაინც უცნაური რამ ეჩვენება: თითქმის ამ რაზმელების ხმა სადღაც გაუგონია, თითქოს მათი თვალებიც სადღაც უნახავს. მაგრამ სად, როდის? აქ იმერეთში ასე ნაცნობი ახალგაზრდა ვაჟკაცები არავინ ჰყავს, მაშ გურიიდან ახსოვს? სურების მთებიდან? ლაპარაკის კილოც რომ იქაური აქვთ! მაგრამ არა, იქაც ვერავინ მიუნიშნებია. მაშ სად უნახავს ეს თვალები, სად გაუგონია ეს ხმა?

მეჩვენებაო, გადაწყვიტა ფაციამ, შიშისაგან მემართება, თვარა ეს ფირალები სად უნდა მყავდეს ნახულიო!

და ის იყო კიდეც, დედა მუხლებში ჩაუვარდა რაზმელებს:

— აპატიეთ, შვილებო, ეს ერჯერ აპატიეთ. ვაჟკაცები არა ხართ! ობოლია, შვილებო, გაჭირვებით გაზრდილი. მაგია ჩემი შემნახველი. შეეშინდა შვილებო, შიმშილით არ მოვკვდეთო! თქვენი ჭირიმე, ვაჟკაცებო, ეს ერთხელ აპატიეთ და მერე, თუ ამის აუგი გაიგონოთ, თქვენი ხელით მომკალით.

რაზმელები მეყოყმანდნენ, მერე ისევ უფროსმა წარმოთქვა:

— დედაშენის ხათრით გვიპატიებია, ფაცია. მაგრამ, თუ კიდევ გეივლე გულში ღალატი, მაშინ წინასწარვე ეზიარე, გესმის, ცავ?

— თქვენ გუუძლიერდით პატრონს, ერთობის ვაჟკაცებო, თქვენი ჭირიმე! — ილოცებოდა მოხუცი ქალი.

რაზმელები დინჯად გავიდნენ ქოხიდან.

* * *

ანეტამ ერთი გადმოგვხედა და განაგრძო:

— მეორე დილით ფაცია, რა თქმა უნდა, ფაბრიკაში აღარ წასულა. ჩემთან გამოიქცა; კარი რომ შემოაღო, ჩემი ოთახი სავსე იყო ხალხით, სულ ჩვენები იყვნენ, ფაბრიკის მუშა-ქალიშვილები. ფაციამ დაგვინახა თუ არა, ამოუჯდა გული და დაიწყო ტირილი.

— რა დაგემართა, გოგო?

— ნენაა, რა ვნახე წუხელ, გოგოებო, რა შიში გამოვიარე, კიღამ ამომძვრა სული. ერთობას რაზმელები გამოეგზავნა, თოფებს ატრიალებდნენ და მიმიზნებდნენ. მერე მაპატიეს... თქვენც მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე...

— ახია შენზე, შე სულელო, — ვუთხარი მე, — აი, ხედავ, რაზმელებსაც კი გაუგიათ შენი უსინდისობის ამბავი. აწი კიდევ გაგვიდგები განზე?

— მიწა გამისკდეს, მაგფერი აბდლური თუ ვიფიქრო აწი რამე!

ფაცია ისე გახარებული იყო მაპატიესო, რომ ვერ ამჩნევდა ქალები სიცილს რომ ძლივს იკავებდნენ; როგორც კი ფაციამ კარი გაიხურა, ატყდა ერთი ხარხარი და ჟრიამული. მერე, მერე ერთი ქალი მომიბრუნდა და მითხრა:

— შენ წაწყდი, შე ქაჯო, შენა! მართლა რაზმელები ჰგონებიხართ მაგ სულელს!

მერე ჩამაცივდნენ — ჩვენც გვიჩვენე, როგორი რაზმელები იყავითო. ნახშირს ველარ წავისვამმეთქი და სიმინდის ფოჩების ულვაშები კი გავიკეთე, ხმაც დავიბოხე და შევძახე:

— ჩეიცვით, გოგოებო და ახლავე წამოგვყევით ტყეში!

სიცილმა ახალი ძალით იფეთქა.



# კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ზესტაფონიდან სოფელ ფუთისაკენ გავემგზავრეთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ციალა გელაშვილი კანტორაში არ დაგვიხვდა. გვითხრეს, თავმჯდომარე ეს-ეს არის მანქანაში ჩაჯდა და ვენახების დასათვალიერებლად წავიდაო.

ჩვენ ლოდინისათვის მოთმინება აღარ გვეყო. ვიცოდით, მაინც მოგვიხდებოდა ვენახებისა და ყანების დათვალიერება და იქით გავემართეთ, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვეგულებოდა.

დაგვინახა თუ არა, მაშინვე შემოგვეგება, გაგვიღიმა, ხელი მაგრად ჩამოგვართვა. იქვე, გზის სანაპიროსთან სახელდახელოდ აგებულ პატარა ფიცრის ფარდულში შეგვიპატიჟა. კოლმეურნეებიც იქ იყვნენ.

ვუცქერი თავმჯდომარეს და ვფიქრობ: — რა ნაცნობი სახე აქვს, სად მინახავს, ნეტავ, ეს ქალი-მეთქი. ვფიქრობ და არ მაგონდება. გამოირკვა, რომ ამ რამოდენიმე წლის წინ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძის დაბადების ოთხმოცი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსულა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, და თურმე იქიდან მახსოვდა.

ქართული თეატრის მშვენებანი — ნინო და უშანგი ჩხეიძეები ზესტაფონლები იყვნენ. უშანგი სოფელ ფუთიდან იყო, ნინო კი სოფელ თვრინიდან. ეს სოფლები სამართლიანად ამაყობენ მათი სახელებით.

სოფელ ფუთის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ზესტაფონის რაიონში. ერთ დროს ჩამორჩენილ კოლმეურნეობას მალე დაეტყო ახალი თავმჯდომარის — ციალა გელაშვილის უნარიანი ხელი. ციალას უმაღლესი აგრონომიული განათლება აქვს. საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებულ მუშაკს შესაფერისი ცოდნაც უწყობს ხელს.

ჯერ კიდევ გაცნობამდე ციალა გელაშვილზე რაიონული გაზეთის რედაქციაში ერთი შემთხვევა მიამბეს:

ერთხელ თურმე ციალამ დაინახა, რომ მინდორში სახნავად გასული ტრაქტორი უქმად იდგა. მხოლოდ რამდენიმე ხნული აჩნდა მინდორს ლიანდაგივით. დიდხანს უცქირა, უცქირა და, რომ არ დაიძრა ტრაქტორი, მივიდა ახლოს და რას ხედავს? მათი სანაქებო ტრაქტორისტი ზის, პაპიროსს აბოლებს და ოცნებობს. შეკრთა, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავზე წაადგა, წამოდგა და მოუბოდიშა:

— ამხანაგო ციალა, ჩემი ტრაქტორი გაფუჭდა, არ მუშაობს, ბევრი ვეწვალე, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარი.

ციალას პასუხი არ გაუცია, ავიდა ტრაქტორზე, მომართა და წაიყვანა. მერე ჩამოხტა ტრაქტორიდან და უსიტყვოდ წავიდა. ახლა კი გააგრძელა ტრაქტორისტმა ხვნა.

ეს შემთხვევა როცა მოვაგონე, სხვანაირად მიამბო თვითონ ციალა გელაშვილმა. ვიფიქრე, არ უნდოდა გაემხილა ახალგაზრდა ტრაქტორისტის უნებლიე შეცდომა.

ფუთის კოლმეურნეობაში მოწინავე დარგი მევენახეობაა, ამიტომ გამიკვირდა, როცა მათი მეცხოველეობის საუცხოო ფერმა ვნახე. ფუთელებს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ინიციატივით კარგი ჯიშის ძროხები შეუძენიათ, ავ თვალს არ დაენახვება.

ხალხმა შეიყვარა ციალა გელაშვილი და სწორედ ამიტომ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრიცაა.

როცა ციალა გელაშვილს სოფელ ფუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევდნენ, ბევრი ურწმუნო თომა ვერ ხედავდა მის დამალულ უნარსა და ყველა იმ შესაძლებლობას, რაც ციალამ შემდეგ საქმეში გამოავლინა.

გავიდა დრო. თხუთმეტი წლის მანძილზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ციალამ ყველაზე მოწინავედ აქცია რაიონში.

შარშანდელი სამეურნეო წელი კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა: საშუალოდ ჰექტარზე 39,2 ტონა ყურძენი მიიღეს, ხოლო თითოეული ძროხიდან ნაცვლად 1.350 ლიტრისა, მოწველეს 1.900 კილოგრამი რძე. ამჟამად კოლმეურნეობა გაცხოველებულ მუშაობას ეწევა 1967 წლის მოსავლის მისაღებად...

ცხადია, რომ სოფელ ფუთის კოლმეურნეობის წარმატებები განაპირობა როგორც კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ, ასევე უნარიანმა ხელმძღვანელობამ.

როცა ვენახების დათვალიერება დავამთავრეთ, ერთმა ხანში შესულმა კოლმეურნემ გვერდზე გამიხმო და ჩურჩულით მითხრა:

— ჩემო ბატონო! ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ, იმედი მაქვს, არ გამცემთ. ჩვენ ძალიან კარგი თავმჯდომარე გვყავს, მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირს: სულ თავზე დაგვტრიალებს ქორივით, თავისას არავის არაფერს გაატანს და არც სხვისა უნდა რამეო.

მომეწონა მისი ხუმრობა და ვუპასუხე: — კარგი იქნება, თუ ასეთი „ცუდი ზნე" სხვებსაც შეეყრება-მეთქი.

გიორგი ქავთარაძე



# ვინც გვზრდის და გვასწავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასეთია ჩემი მასწავლებელი

მან პირველი გაკვეთილი 1921 წლის თებერვლის ბოლო რიცხვში ჩაატარა. მაშინ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეები იყო. იგი სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით მივიდა წითელი არმიის ნაწილში, სადაც მასზე უფროსი და ომგადახდილი ადამიანები მოწაფეებად დაუხვდა. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლაში ის წიგნზე თავდახრილ ფარაჯიანებს ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად გზას უკაფავდა. კარგი მუშაობისათვის სერგო ორჯონიკიძემ ბინით დაასაჩუქრა ახალგაზრდა მასწავლებელი.



ეს ახალგაზრდა მასწავლებელი ოლია ბარამიძე გახლდათ, რომელიც დღეს უკვე პედაგოგიური მოღვაწეობის 46-ე წელს ითვლის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჩამოყალიბდა მისი მიზანი — ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის აღეზარდა ღირსეული კადრები.

ოლია ბარამიძე, ჯერ კიდევ მოწაფეობისას, ხაშურის ქალთა გიმნაზიაში სწავლის დროს, დაახლოებული იყო ბოლშევიკებთან, ასრულებდა იმათ, კერძოდ, გიორგი ელისაბედაშვილის დავალებებს. ამიტომაც გარიცხეს გიმნაზიიდან, ამიტომაც დაუწყეს დევნა მენშევიკებმა. ახალგაზრდა გიმნაზიელი იძულებული შეიქნა გურიას შეკედლებოდა. ის იმალებოდა სოფელში ნათესავთან, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტია საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებთან. შემდეგ გადავიდა სოფელ ზემოხეთში და აქტიური მუშაობა გააჩაღა.

აღფრთოვანებით შეეგება ოლია ბარამიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

„საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლებად ჩვენ განათლებული ადამიანები გვჭირდება", — საკუთარი თავისადმი ასეთი მოთხოვნით დაიწყო მუშაობა სკოლაში.

ასეულობით ბავშვმა მისგან ისწავლა დედაენა. მისი გაზრდილები ლაპარაკობენ კარგი ქართულით და აქვთ ცოდნის მყარი საფუძველი. მათ მასწავლებლისაგან ისწავლეს ლამაზად წერა და მისგან თვალახელილები შეუდგნენ უფრო რთული მეცნიერებების შესწავლას. მისგან მოედინება ცოდნის სათავე, პატიოსნება, შრომის, გულმოდგინების, კაცთმოყვარეობისა და პატრიოტიზმის გრძნობებიც მან დათესა და გაალვივა.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ოლია ბარამიძე დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

„ასეთია ჩემი მასწავლებელი", იტყვიან წლების შემდეგ ისინიც, რომლებიც წელს პირველად შეაღებენ თბილისის 54-ე სკოლის კარებს.

ქ. ლიაძე

## თავისი საქმის ერთგული

მისი საყვარელი საქმე პატარებთან მუშაობაა. მისი ყოველდღიური საზრუნავი პატარებზე ფიქრია. ამიტომაც უყვართ ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის ოქტომბრელებს თავიანთი მზრუნველი პედაგოგი ქსენია ალექსანდრეს ასული ოსეფაიშვილი.

მან ახალგაზრდობა გურიაში გაატარა. რა დაავიწყებს იმ ქარცეცხლიან დღეებს, რაც გურიის გლეხობამ თავის მხრებზე გადაიტანა. ჯერ კიდევ პატარა იყო, იმპერიალისტური ომი რომ დაიწყო. უსახსრობის გამო ქსენიამ დროებით შეწყვიტა სწავლა. რომ წამოიზარდა, პირობებიც შეიცვალა და ისევ სკოლას დაუბრუნდა. 1925 წელს, საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, შევიდა ქსენია ლენინური კომკავშირის რიგებში და ჩოხატაურის რაიონის აქტიურ კომკავშირლებს ამოუდგა მხარში. პედაგოგიური მუშაობისას ქსენია ოსეფაიშვილმა თავის მშობლიურ სოფელ საყვავისტყისა და მახლობელი სოფლების სკოლებში პიონერული ორგანიზაციები ჩამოაყალიბა, განათლების განყოფილების დავალებით სოფელ ბუკისციხეში გლეხების ბავშვებისათვის საბავშვო ბაღი გახსნა.

1928 წელს, პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების შემდეგ, მახარაძეში გამართულ მიტინგზე ქსენია ოსეფაიშვილი ჩოხატაურის კომკავშირელთა სახელით სიტყვით გამოვიდა და ვალდებულებანი აიღო. კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში კომკავშირელი ქალიშვილი გვერდში ედგა პარტიულ ამხანაგებს, პარტიული კომიტეტის დავალებით აგიტაციას ეწეოდა ამაღლების, საყვავისტყის, გოგოლესუბნისა და დაბლაციხის გლეხებში.

1926-1932 წლებში ქსენია ოსეფაიშვილი არჩეული იყო სადაბო საბჭოს დეპუტატად, ხელმძღვანელობდა საგზაო მშენებლობის სექციას, დიდი მონდომებითა და ხალისით ასრულებდა საზოგადოებრივ და კომკავშირულ დავალებებს.

1932 წელს ქსენია ოსეფაიშვილი საცხოვრებლად ბორჯომში გადმოვიდა და პირველ საშუალო სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო. პარტიის ბორჯომის რაიონული კომიტეტის დავალებით იგი სოფელ დვირში აქტიურ მუშაობას ეწეოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

1940 წელს ქსენია მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. სკოლაში ენერგიულ და დაუღალავ შრომასთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდა პარტორგანიზაციის მდივნად, დაწყებითი კლასების რაიონული სექციის ხელმძღვანელად, აგიტატორად.

მიდის დღეები, თვეები, წლები. მოდიან პატარები, იზრდებიან, ვაჟკაცდებიან, სტოვებენ სკოლას და თან მიჰყვებათ მოგონება დაუვიწყარ აღმზრდელებზე, ქსენია ოსეფაიშვილზე, ვინაც პირველმა შეაღო მათი გულისკარი.

ქეთევან ჟურმაშვილი,
ბორჯომი.

## საპატიო მოვალეობა

ბევრი გაჭირვება შეხვდა ცხოვრების გზაზე ფეოდორა ჩაგუნავას. სახადმა დაუხოცა დედ-მამა. ეს იყო აბაშის რაიონში, სოფელ კეთილარში. პატარა დის აღზრდა უფროს ძმას კალისტრატეს დაეკისრა. ხელმოკლედ მცხოვრებ კალისტრატეს ბავშვის აღზრდაში ეხმარებოდა ამავე სოფლის მკვიდრი, მათი ბიცოლა ივლიტა თოფურია-ჩაგუნავა. იგი დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა ობოლ გოგონას. ივლიტა ბიცოლას ხელშეწყობით ფეოდორა ბათუმის პედტექნიკუმში მოეწყო.

მან წარმატებით დაამთავრა ტექნიკუმი, აქ გახდა კომკავშირელი და საზოგადოებრივი მუშაკი.

ასევე წარმატებით დაამთავრა ფეოდორამ მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მოზარდი თაობის აღზრდას შეუდგა. პედაგოგიური ნათლობა ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლაში მიიღო. ეს იყო ქარიშხლიანი 1941 წლის პირველი სექტემბერი.

ამ დღიდან მოკიდებული ფ. ჩაგუნავა საქმის იშვიათი სიყვარულით ასრულებს ამ საპატიო მოვალეობას, ენერგიის დაუზოგავად იბრძვის მოსწავლეთა მაღალი წარმატებისათვის და კმაყოფილია იმით, რომ მისი შრომა მუდამ შედეგიანი და სასარგებლოა. ბევრს მუშაობს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მჭიდრო კავშირი აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რეგულარულად გამოდის მათ კრებებზე მოზარდი თაობის აღზრდის საკითხების ირგვლივ. ვინ მოთვლის, რამდენი გზასაცდენილი ახალგაზრდა დაუბრუნა ფეოდორამ სკოლას.

სოფელ ქობულეთში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა ფეოდორას მოღვაწეობის მანძილზე. კოლმეურნეობამ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების შედეგად, დიდად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. სახე იცვალა, კეთილმოეწყო და გალამაზდა, შესანიშნავი ნაგებობებით, ბაღებითა და პარკებით დამშვენდა სოფელი. ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი უდევს ამაგდარ პედაგოგს. დაფასდა ფეოდორას შრომა, მას მიენიჭა აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

შურმან მეხრელიძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ქობულეთი.



# ასე მოისპო ჩემი ოჯახი

მე ნგუენ თხი სე მქვია. 35 წლისა ვარ. ვცხოვრობ ფუთში, სოფელ ჩიონგკსუანში (კან-თხოს პროვინცია, ო-მონის რაიონი).

ჩემი ოჯახი, ათასობით სხვა ოჯახებთან ერთად, მსხვერპლი გახდა ომის წარმოების იმ ბარბაროსული საშუალებებისა, რომლებსაც მიმართავენ ამერიკელი იმპერიალისტები ჩემს თანამემამულეთა წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში.

მინდა გიამბოთ იმ ტრაგედიის შესახებ, რაც თავს დაგვატყდა ჩვენ 1965 წლის 6 მარტს. ამ დღეს ჩემი ქმარი, ხუთი შვილი და მე — ჩვეულებრივი გლეხის ოჯახი — შინ ვიყავით. დღის სამ საათზე კან-თხოდან მოფრინდნენ ამერიკულ ბომბდამშენ-გამანადგურებელთა რაზმები და ნაპალმის ბომბები გადმოგვაყარეს. ადვილი გასაგებია, რაც მოხდებოდა, ყველამ მძიმე დამწვრობა მივიღეთ. ჩემი უფროსი შვილი, 14 წლის ბიჭი, რომელსაც ხელში თავისი ხუთი თვის დაიკო ეჭირა, სახლიდან გამოვარდა ყვირილით: მამა, გვიშველე, გადაგვარჩინე, ორთავენი ვიწვითო. ჩემმა მეუღლემ სწრაფად აიტაცა ხელში პატარა, მაგრამ შეხებისგან მის ხორცს მთლიანად მოძვრა დაფუფქული კანი.

ბარბაროსები განაგრძობდნენ დაბომბვას. ჩემმა ქმარმა, რომელიც რაღაც სასწაულით გადაურჩა დაბომბვას, უფროს შვილს უთხრა მდინარე გადაეცურა და მეორე ნაპირზე გასულიყო. ბიჭი კი განუწყვეტლივ ყვიროდა: ცეცხლი მეკიდება, ვკვდებიო. ჩემმა ათი წლის გოგონამ მოახერხა მდინარის გადაცურვა, ვიღაც მოხუც ქალთან მიიჭრა და ჩვენი უბედურება უამბო.

ხუთივე შვილმა მძიმე დამწვრობა მიიღო. ყველაზე უმცროსმა, ხუთი თვის ნგუენ თხი დიომმა იქვე დალია სული. იგი მეტისმეტად პატარა იყო და როგორ გადაიტანდა ასეთ დამწვრობას! ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა ათი წლის ნგუენ თხი ლე ხოა. ანდა რა გადაარჩენდა! იგი მთლიანად ნაპალმის შხეფებით იყო დაფარული. უფროსი შვილი ნგუენ ვან ჩენი ტაკ კადში გადაიყვანეს, მაგრამ დიდხანს არც მას უცოცხლია. დანარჩენი ორი გოგონა — სამი წლის ნგუენ თხი თხამი და თორმეტი წლის ნგუენ თხი რო საავადმყოფოში მოათავსეს. ორი დღის შემდეგ ისინიც დაიღუპნენ. მე დამეწვა სახე, ხელები, ფეხები და ზურგი.

იმავე წლის აპრილში მტერი თავს დაესხა სოფელ ჩიონგსუანს. თავდასხმის დროს მოკლეს ჩემი მეუღლე. ამრიგად, სულ რაღაც ორმოციოდე დღის მანძილზე მოისპო ჩემი ოჯახი. ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა მეუღლეც მომიკლეს და ხუთივე შვილიც, რომელთაგან უფროსი 14 წლისა იყო, უმცროსი კი — ხუთიოდე თვის. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მე გადამარჩინეს, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ გადარჩენას: ინვალიდი, კოჭლი, თითებდაკვრანჩხული, საკუთარი ხელით ჭამაც არ შემიძლია, ნიავის ოდნავი ქროლვაც კი აუტანელ ფიზიკურ ტკივილს მაყენებს, რადგან სახეზე ახალი კანი მაქვს. აღარავინა მყავს და არც არაფერი გამაჩნია, ენით გამოუთქმელ სულიერ და ფიზიკურ წამებას განვიცდი.

ჩემი ოჯახის ტრაგედია ერთ-ერთია იმ ურიცხვი ტრაგედიებიდან, რაც ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაატრიალეს სამხრეთ ვიეტნამში. ამ წერილს ვუგზავნი კომისიას, რომელიც იკვლევს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულობებს, და თუ საჭირო გახდა, მზადა ვარ გამოვიდე ჩვენს მიწა-წყალზე ამერიკელი მხედრიონის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ მოწმედ.

ნგუენ თხი სე,

30 ივნისი, 1966 წელი.



# მედეა ჯაფარიძე



„რომეო და ჯულიეტა"—ჯულიეტა.

თუ ჩვენ, მცირე ხნით მაინც, ვირწმუნებთ ბერნარდ შოუს პარადოქსს: „სილამაზე კარგია პირველი შეხვედრისას, მაგრამ ზედიზედ სამ დღესაც ვერ გაუძლებ სახლში"-ო, მაშინ ქართველ მაყურებელს დიდი ხანია მობეზრებული უნდა ჰქონდეს მედეა ჯაფარიძის სილამაზე.

მის სილამაზეზე ლაპარაკი უკვე ერთგვარ ტრივიალობად იქცა. ამიტომ გავიხსენე აქ მისი საყვარელი დრამატურგის ეს პარადოქსი, რომელიც, როგორც ყოველი მახვილი პარადოქსი, ფანტავს ბრმა აღტაცების ბურუსს.

მედეა ჯაფარიძის მომხიბვლელობის საიდუმლო სრულ ჰარმონიულობასა და წონასწორობაშია დაფარული. მას ახასიათებს შინაგანი, თანდაყოლილი ელეგანტურობა, და ასევე თანდაყოლილი არტისტიზმი. მისი ბუნებისათვის უცხოა პატივმოყვარეობა, ზოგჯერ ადვილად მისატევებელი ქალური პატივმოყვარეობაც კი. მე იშვიათად მინახავს სცენაზე ქალი, რომელიც ასე უგულვებელყოფდეს თავის სილამაზეს. ეს დიდი მადლი ბუნებისა მას დავიწყებული აქვს, იგი თითქოს თავისთავად იგულისხმება, მას არ სჭირდება ხაზგასმა და წარმოჩინება. მსახიობმა მედეა ჯაფარიძემ „არ იცის" თავისი სილამაზის ამბავი. ეს „არცოდნა" ანიჭებს მას მოუგერიებელ ძალას.

თავის პირველ როლებში ყველაფერის ერთბაშად თქმა სურდა. თითქოს პირველად და უკანასკნელად ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა ის აზრები და შთაბეჭდილებანი, რაც ცხოვრებამ მისცა. მედეას მიერ განსახიერებული როლები თითქოს რაღაც მყიფე მასალისაგან იყო შექმნილი. წლების მანძილზე ამ მასალამ ბროლის გამჭვირვალება და სიმტკიცე შეიძინა.

შესაძლოა, მისი როლების გარეგნული ნახატი, პირველ ხანებში, არ იყო სრულყოფილი, მაგრამ სულიერი ცხოვრების სიღრმისაკენ მისწრაფება, გრძნობათა სიწრფელე განცდის თეატრის ყველაზე მკაცრ მსაჯულსაც დააკმაყოფილებდა. მედეა ჯაფარიძეს ძიების, უკმარობის დემონი აწვალებს. იგი მიისწრაფის სიკეთისაკენ, სილამაზისაკენ, სინათლისაკენ. ყოველთვის ეძებს იმ ტონს, რომელიც შეახმატკბილებს გრძნობასა და გონებას. როცა ყველაფერი ეს ეთანხმება მის გარეგნულ სილამაზესაც, მაშინ ვღებულობთ შემოქმედების იმ სინთეზს, რომელსაც მშვენიერი შეიძლება ვუწოდოთ.

ვინც ახლოს იცნობს მედეას, ვინც მისი საუკეთესო როლების აზრს ჩასწვდომია, იგი ადვილად დაუჯერებს შოუს, რომელიც ამბობს: „ინტელექტი — ეს არის ვნება". თავისი ცხოვრების, შემოქმედების სათავედ მას გაუხდია სიმართლის ერთგულება, სიმართლე — არა სცენური ცხოვრების აზრით, არამედ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობით. თავისი როლებით იგი ყოველთვის ამტკიცებს ადამიანის შემოქმედებითი საწყისის შეუპოვრობას, რწმენისა და იმედის ძალას. მას სწამს ქალის გონებისა და მისი სიმტკიცე შერწყმული მიამიტობასა და ეშმაკობასთან ანიჭებს სცენურ გმირებს არა მარტო მრავალმხრივობას, არამედ იმ იდუმალებასაც, რომელიც იზიდავს და შეუცნობლად აკრთობს მამაკაცებს. მის გვერდით მამაკაცი ყოველთვის ამაღლებულად გრძნობს თავს. ამავე საუკეთესო როლებით იგი უარყოფს გულგრილობას, ცხოვრების წვრილმან ინტერესებს, სულიერ დაძაბუნებასა და უხამსობას. მას არასოდეს არ სტოვებს მაღალი გონიერება და სინატიფე.

გერონტი ქიქოძემ მედეა ჯაფარიძეს ზულსუნდას (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი") როლში უფსკრულის პირას ამოსული ყვავილი უწოდა. ის გზა, რომელსაც მსახიობი ირჩევს, მართლაც სახიფათო საზღვრებზე გადის. იგი ძალიან თამამად ენდობა თავისი თამაშის, მთლიანად როლის მეორე პლანს, არ ერიდება იმას, რომ შეიძლება, ზოგი რამ მაყურებლისათვის გაუგებარი დარჩეს. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მედეა ჯაფარიძე არ ელაციცება მაყურებლის გემოვნებას, ცდილობს მის გაწმენდასა და ამაღლებას.

თითქმის ყველა როლში იგრძნობა დინამიკა, გადახალისების, თვისობრივი გარდაქმნის პროცესი. ამ პროცესის შეგრძნება თვით შემოქმედებაა. მედეა ჯაფარიძე თავისი ქალისაგან ახალ ქალს ქმნის. მას უყვარს იმის ჩვენება, თუ როგორ გადაიქცევა გულუბრყვილო, მიმნდობი გოგონა გამჭრიახ და ყოვლისშემძლე ქალად, რომელიც საბოლოოდ არ ჰკარგავს მიამიტობას. ეს მიამიტობა ახლა მისი ბუნება კი აღარაა, არამედ ელემენტი ქალური კეკლუცობისა, მსუბუქი იარაღი გულთა მოსანადირებლად. ქალის არსებაში თანდაყოლილ ინტუიციასა და მიხვედრილობას სცვლის გონიერება და საკუთარი მშვენიერებისაგან მოგვრილი სიამაყე, განათებული გრძნობათა სიღრმით და სერიოზულობით.

მას გამომუშავებული აქვს სტილის ფაქიზი შეგრძნობის უნარი. ყოფით კომედიაში მრავალი გარეგნული დეტალით ამდიდრებს როლს, აქცენტი აღებული აქვს სწორედ ამ გარეგნულზე, ყოფაცხოვრებითი ელემენტების სიჭარბეზე. მაღალ კომედიაში კი (აქ უპირველესად ვგულისხმობ ბ. შოუს „პიგმალიონს", „კეისარსა და კლეოპატრას") მისი იუმორი უფრო დაწმენდილია, მრავალმხრივი და პოეტურ ხარისხში აყვანილი. მისი გმირი თავის სტიქიაში გრძნობს თავს, როცა სიტყვიერ ფარიკაობას უმართავს მოწინააღმდეგეს და მოულოდნელ ჭრილობას აყენებს მას. მაგრამ თითონვე უვლის შემდეგ ამ ჭრილობას. აქ მჟღავნდება ქალური სითბო და შემწყნარებელი ბუნება: თითქოს იგი ბოლომდე ვერ იმეტებს მოწინააღმდეგეს, მალამოს თხელ ფენას ადებს მტკივან ადგილებზე, რათა შემდეგ ახალი გააფთრებით ეკვეთოს მას. აქ მსახიობი გვიჩვენებს იმ ცვალებადობას, იმ მოულოდნელ შემობრუნებას, რის გამოც ქალის ბუნება მარად ამოუცნობია.

ამ წერილში არ ვაპირებ ჩამოვთვალო მედეა ჯაფარიძის მიერ ოცდახუთი წლის მანძილზე ნათამაშები ყველა როლი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი ნიჭი ხაწრთობია დრამატურგიის ყველა ჟანრში, კლასიკურსა (შექსპირის, მოლიერის, ვაჟა ფშაველას, ა. ოსტროვსკის, შოუს პიესებში) და თანამედროვე (პ. კაკაბაძის, მ. ბარათაშვილის, კ. ბუაჩიძის, რ. თაბუკაშვილის პიესებში) რეპერტუარში.

იგი ქართული სცენის ერთ-ერთი საუკეთესო ჯულიეტაა. სიყვარულისაგან გაცისკროვნებული, ჯერ გაუცნობიერებელ იმპულსებს აყოლილი

ჯულიეტა თითქოს თავისი გრძნობის ფრთებზე თამაშობს. იგი ტყვეა ამ ღრმა გატაცების, სულ მთლად ბავშვი, რომელსაც სიყვარული აქცევს ქალად; მის ხილვებში სამყარო ნათელი და მსუბუქი ფერებითაა აღსავსე. სიყვარული, რომელიც ასე სანეტარო ბურუსში ხვევს ჯულიეტას, ერთსადაიმავე დროს აბრმავებს და გულთამხილავად ხდის, აბრმავებს იმიტომ, რომ რომეოს გარდა ვერავის ამჩნევს, სამაგიეროდ მიჯნურის ყოველი გულისცემა, მისი სულის ყოველი მოძრაობა და ცვალებადობა მისთვის უმალ გასაგებია. რომეოს სიყვარულის მეოხებით მედეას ჯულიეტა შეიცნობს სამყაროს. ამ პროცესში იგი ხასიათის მეტ სიმტკიცეს და გამჭრიახობას იძენს. სიყვარული მას ასმევს არა მარტო გამაბრუებელ ბანგს, არამედ მწარე სამსალასაც, რომელსაც იგი ბოლომდე სვამს. ამიტომაც სიყვარული ცხოვრების უმაღლეს აზრს იძენს მედეას შესრულებით.

ახლა, მსახიობის შემოქმედების 25 წლისთავზე, როცა ჯამდება მისი შემოქმედებითი ცხოვრების ერთი პერიოდი, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი როლი რა თანმიმდევრობით შეასრულა მან.

ეს როლები ქმნიან ერთ ვრცელ პანორამას, რომელსაც ოსტატის ინდივიდუალური ხელი ატყვია... სამყაროს ტანჯვით შეცნობის გზას სცვლის მისი ანტიპოდი — ჯულიეტას გვერდით მსახიობური ოსტატობის თვალსაზრისით დგას მისი მარინე (შ. ბარათაშვილის „მარინე") — სიცოცხლის, ცხოვრების ყველა სიკეთის შემწოვი. იგი განსახიერებაა უდარდელობის, სიხალისის, თავქარიანობის, რომელიც გარკვეულ ასაკში მომხიბვლელობასაც კი ანიჭებს ადამიანს.

მას არ შეუძლია დაინახოს ცხოვრების ჭირ-



„კეისარი და კლეოპატრა". მ. ჯაფარიძე და ვ. გოძიაშვილი



„მარინე" — მარინე

ვარამი, შენიშნოს რაიმე ლაქა სხვის თვისებებში. არა იმიტომ, რომ ზერელე და ქარაფშუტაა, არამედ თავისი არსების გამო. იგი ბუნებამ გააჩინა იმისათვის, რომ ყველგან შენიშნოს ხალისიანი რამ და სხვებიც გაახალისოს. ისევე როგორც ადამიანს ბუნება უბოძებს ხოლმე მშვენიერების შეცნობის, მხატვრობის, კომპოზიციის, პოეზიის ნიჭს, ასევე მარინეს მომადლებული აქვს სიხალისის ნიჭი, და როგორც ყოველი განსაკუთრებული ნიჭი ადამიანს ჭრელი მასიდან გამოჰყოფს, ასევეა გამორჩეული მედეას მარინე. მსახიობი გვიჩვენებს, რომ ცხოვრების სიღრმეების წვდომა არა მარტო ტანჯვათა ღრმა განცდით შეიძლება (ჯულიეტა), არამედ დაუცხრომელი სიკასკასით, დაუოკებელი ოპტიმისტური სულისკვეთებით.

ჭეშმარიტ მხატვრულ-სცენურ ჰარმონიას, ჩემი აზრით, მან მიაღწია კლეოპატრას როლში. მსახიობმა ამ როლის თამაშამდე დიდი ხნით ადრე დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ შესანიშნავად ესმის ბ. შოუს თავისებური იუმორი და აზროვნების პარადოქსული მანერა. ელიზა დულიტლი („პიგმალიონი"), ყვავილების გამყიდველი გოგონა, უხეში, დაუდევარი, ჟარგონზე მოლაპარა-

ფოტო ი. გაბრიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კე, რომელიც ყოველ წინადადებაში ორჯერ მაინც ხმარობს უხამს სიტყვას (რასაც ლონდონელები აღნიშნავენ ტერმინით — bloody) ჩვენს თვალწინ, რაღაც ორიოდ საათში გადაიქცევა ბრწყინვალე ლედად, რესპექტაბელური სალონების ნამდვილ სამკაულად.

ბრწყინვალედ აქვს ნაჩვენები მსახიობს თავისი მდგომარეობის ორმხრივობა, კომედიური შეუსაბამობა სიტუაციისა. მაღალი საზოგადოების ქალის მანერები ერთობ სწრაფად და შეუჩერებლად შეითვისა მან, მაგრამ გაუჭირდა დახვეწილი „ოქსფორდული" აქცენტით ლაპარაკის შესწავლა. მის სულში კვლავ ბობოქრობს ქუჩის სტიქია. — ელეგანტურად უჭირავს თავი, თამაშობს არისტოკრატ ქალს და უცებ — მკვეთრი ჟესტი და სისხლისგამშრობი ჟარგონი არღვევს უშფოთველობის ტონს, რითაც მანამდე თავი მოსწონდა. მედეა განსაკუთრებული ძალით გვიჩვენებს ინდივიდუალობის გაღვიძების, საკუთარი ღირსების შეცნობის, სიამაყის ძალას, რათა კიდევ უფრო ნათელი გახადოს შოუს პარადოქსი: ელიზა დულიტლი მიუწვდომელი აღმოჩნდა მისთვის, ვინც მას მაღალი სული ჩაუდგა (გაიხსენეთ პიგმალიონის მითი).

კლეოპატრა გაცილებით რთული როლია. აქ ნაჩვენებია არა მარტო ბავშვის გადაქცევა ეგვიპტის დედოფლად, არამედ მრავალმხრივ უკუშექცევითი დეტალები: ჯერ კიდევ ბავშვში იგრძნობა მომავალი დედოფლის გამჭრიახობა და ძალაუფლების სიყვარული და უკვე დედოფალში — ყოფილი ბავშვის უშუალობა, სინორჩე და პატარ-პატარა კაპრიზები. პლასტიკურობა, სიმკვეთრე, გონების სინატიფე, ღრმა ინტელექტუალური ირონია, შენაცვლებული ხალისიან იუმორთან, კლეოპატრას აქცევს იმ მომხიბლავ ქალად, რომლის პირისპირ უჭკვიანესი კეისარი ზოგჯერ იბნევა. ბ. შოუს ირონიული ბიოგრაფიის (წარსული ლეგენდარული გმირების ჩამოყვანა ოჩოფეხებიდან, მათი განძარცვა გმირულ-რომანტული სამოსელიდან) სული შესანიშნავად აქვს ნაგრძნობი მსახიობს. კლეოპატრა ჩვეულებრივი ქალია, თავისუფალი რაიმე კომპლექსებისაგან, სუსტი არსება. მაგრამ ამ სისუსტეშია მისი ძალა. თავშესაქცევი სიმსუბუქით სწყვეტს იგი ადამიანთა ბედიღბალს, ეშმაკობასა და კატის მოქნილობას უფარდებს გულუბრყვილობასა და სათნოებას. თითქოს მედეა ჯაფარიძეს ხელში კლეოპატრას რამდენიმე ნიღაბი უჭირავს და, სიტუაციის მიხედვით, ისეთი ძალდაუტანებლობითა და მოხდენილობით იკეთებს მათ, რომ ჩვენს წინაშე მოულოდნელად სხვადასხვა განწყობილების ქალი დგას. ოსტატობა იმაშია, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვამჩნევთ როდის იკეთებს იგი ამ ნიღაბს, ისე ბუნებრივია გადასვლა მრისხანებიდან თავბრუდამხვევ ალერსზე, მორჩილებიდან სიჯიუტეზე, გონებრივი წონასწორობიდან კაპრიზებზე და ბოლოს დედოფლის სიდიდიდან პატარა გოგონას უმწეობაზე. ასე მრავალმხრივია მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი პალიტრა ამ როლში

ასეთი ძალით მას არც ერთ როლში არ უჩვენებია თავისი ტალანტი. მსახიობის ნიჭი სრული სიმწიფის ხანაში შევიდა. მრავალი საუკეთესო როლი კიდევ ელის მასთან შეხვედრას.

ნოდარ გურაბანიძე



«რიჩარდ მესამე» — ლედი ანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# იცოცხლეთ ჩოხატაურელებო!

ფოტო ი. შაქარიშვილისა და თინა მეგრელიშვილისა

თამარ ლომთათიძე

როდესაც ადამიანი მშობლიურ კუთხეზე წერს, ძნელია ობიექტური იყოს. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ გურულ კაცს გურია მოსწონდეს და კერძოდ, ჩოხატაურელს — ჩოხატაური. მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვასაც მოსწონს, ვისაც ერთხელ დაუდგამს ფეხი მის მიწაზე. მოსწონებიათ მისი ხუჭუჭა გორაკები და ანკარა ნაკადულები, ევროპაში ყველაზე მაღალი კურორტი ბახმარო და ცინცხალი „ნაბეღლავი", მწვანე სტრიქონებად ჩამწკრივებული ჩაის პლანტაციები და ახასხასებული ყანები, მრავალნაირი ხეხილი, და რაც მთავარია, ხალხი — სტუმართმოყვარე და მშრომელი, ენამახვილი და ჰაჰაცი, ფიცხი, მაგრამ გულკეთილი, აშოლტილი „ციცები" და ბრგე ჭაბუკები, ბრძენი ბერიკაცები და ტკბილი დედაბრები, განათლებული თანამედროვე ინტელიგენტები...



...რაიონული გაზეთის რედაქციის გვერდით ერთი პატარა სახლია და უკვე ორი წელია ყოველდღე ვხედავ ეზოში მოფუსფუსე ძაძებიან მოხუც ქალს. ეს მაშო ბენდელიანია, საბჭოთა კავშირის გმირის, მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანის დედა. ჩოხატაურში, სოფელ გორაბერეჟოულში არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სადაც გმირი მფრინავი სწავლობდა, ეს ტექნიკუმი ახლა მის სახელს ატარებს. შარშან იქ საზეიმოდ გაიხსნა ჭიჭიკოს ძეგლი. ჭიჭიკოს პატარა შვილიშვილები დახტოდნენ ერისთავების ყოფილ მამულში და გმირის დედამ შესტირა შვილის ძეგლს: „ბიჭო, ბაბუა ხარ უკვე, ბაბუა!" ჭიჭიკო ხომ 30 წლისა დაიღუპა. იქვე მდგომ ყაისარს — გმირის მამას ნიკაპი აუკანკალდა და ყაბალახის ყურით ამოიწმინდა კურცხალი.

რა საოცარია თაობათა ბედი, ყაისარი 1905 წლიდანაა კომუნისტური პარტიის წევრი, თავდადებულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მისმა ვაჟმა კი სამამულო ომში უჭკნობი სახელი მოიხვეჭა.

ჩოხატაურის რაიონი პირველ ადგილზეა რესპუბლიკაში რევოლუციამდელი სტაჟის მქონე კომუნისტების რიცხვით. ამ საიუბილეო წელთან დაკავშირებით პატარა ექსკურსი გავაკეთოთ წარსულში.

* * *

ვის არ გაუგონია „სიმღერა ბუღარა მამალაძეზე". ხეველ ვაჟკაცს, მებატონეების რისხვას რომ ეძახდნენ, არა ერთხელ დაუხსნია თურქების მიერ გატაცებული ქალ-ვაჟები. ცნობილია გმირი ქალის მარიამ ბუკისციხელის სახელი, რომელზედაც ლექსები შეთხზა ხალხმა. ეს იყო ადრე, შემდეგ კი ახალმა სიომ დაჰბერა და ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე გურია გახდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის მებაირახტრე.

ამას წინათ, კარგი ინიციატივა იკისრეს ჩოხატაურლებმა, რომლის იდეაც სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის თავმჯდომარეს დარეჯან მიქაბერიძეს ეკუთვნის: „მოვინახოთ, დავეძმობილოთ, შევეჯიბროთ ჩვენი რაიონის სოფლების „სეხნია" სოფლებს საქართველოში!" ასეთი აღმოჩნდა ორი — ჩაისუბანი და ხიდისთავი. ჩაისუბანი ბათუმის რაიონშია, ხიდისთავი კი — გორში. უკვე მოხდა დაძმობილება, დელეგაციების გაცვლა.

ჩვენს ხიდისთავში აღმართულია ობელისკი იმ ადგილას, სადაც ახალგაზრდა სტალინი გამოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ, ჩოხატაურელმა ხიდისთაველებმა გორელ ხიდისთაველებს ამ ობელისკის დიდი სურათი ჩაუტანეს, სამაგიეროდ,

ქვემო ერკეთის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში.



გორელმა ხიდისთაველებმა ჩოხატაურელ ხიდისთაველებს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის მაკეტი მიართვეს.

საყოველთაოდ ცნობილია ვ. ი. ლენინის მიერ გურიის რევოლუციური მოძრაობის მაღალი შეფასება. ისიც ცნობილია, რომ ჩოხატაურმა მოგვცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ ზოგიერთს. მათ რიცხვშია: სილიბისტრო თოდრია, თენგიზ ჟღენტი, ბორის ძნელაძე, სერგო მეგრელიშვილი, ბარონ ბიბინეიშვილი და სხვები.

ცალკე უნდა ითქვას ჩოხატაურელ ქალთა აქტიურ მონაწილეობაზე რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი ვაჟკაცურად ედგნენ მხარში მეუღლეებსა და ძმებს, და რომ იტყვიან „დარიკოსებური“ შემართებით იქცეოდნენ. ჩოხატაურში დღეს არიან მოხუცი ქალები, რომელთა პარტიული სტაჟი 60 და მეტი წელია. ესენი არიან: ივლიტა ცინცაძე, მართა ცინცაძე, გოგონა ცინცაძე (სამივენი პარტიის წევრია 1905 წლიდან); ოლია კალანდაძე, ეკატერინე ცინცაძე (1907 წლიდან); რევოლუციამდელი პარტიის წევრები არიან: მეტია ცინცაძე, ნინო ბერიძე, ფედოსი კობიძე, თამარ ლომთათიძე, აკვირინა ლომთათიძე, ქსენია ცხოიძე და სხვები.

ორიოდე სიტყვა კულტურის და მეცნიერების მოღვაწეთა შესახებ. ჩოხატაურის რაიონი ამაყობს კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეებით, ესენი არიან: ნიკო მარი, ჭოლა ლომთათიძე, პოლიო ირეთელი, ფილიმონ ქორიძე, გრიგოლ მეგრელიშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ტრიფონ რამიშვილი, ნოე ზომლეთელი, ია ეკალაძე, შალვა ძნელაძე, დიმიტრი ერისთავი, ნიკო ბერძენიშვილი, სერგი ჟღენტი, სანდრო ეული, ივანე სიხარულიძე და სხვები.

დღეს ნაყოფიერად შრომობენ ჩვენი თანამემამულენი, მეცნიერები და მწერლები: ქეთევან ლომთათიძე, ქსენია სიხარულიძე, იასე ცინცაძე, ალექსი მინდაძე, გიორგი ხუნდაძე, ერმილე ბურჭულაძე, მამია დუმბაძე, ტრიფონ ხუნდაძე, იოსებ მეგრელიძე, არკადი ხუნდაძე, ლავროსი კალანდაძე, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, მორის ფოცხიშვილი, გივი ძნელაძე და სხვები. ჩვენი თანამემამულენი არიან ქართული ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატები სიკო დოლიძე, ნინო რამიშვილი, დუდუხანა წეროძე...

* * *

ჩოხატაური სასოფლო-სამეურნეო რაიონია, მისი ძირითადი წამყვანი დარგებია — მეჩაიეობა, მევენახეობა, მესიმინდეობა...

რაიონის მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიად თარიღს — ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს. მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან, ვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი იულია თავაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი ლამარა ჩხიკვაძე, ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოქროპირ შარაშენიძე, მეჩაიე გოლდა ვასაძე და სხვა მრავალი.

ალეკო სანადირაძე



სოფელი ხიდისთავი



ობელისკი ხიდისთავში



ჩოხატაურის საბავშვო ბაღი

ლამარა ჩხიკვაძე



10385

შარლ ლუი ფილიპი

# შეხვედრა



მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ჯერ გაუსწრო, მერე გულუბრყვილოდ გაიფიქრა: საჭიროა მხოლოდ მაღაზიის ვიტრინასთან გავჩერდე მის წინ, ისიც შეჩერდებაო. ამის მსგავსი არაფერი მომხდარა, ქალმა გზა განაგრძო.

მაშინ მისვლა გადაწყვიტა. გოროზად გადმოხედა მიმავალმა, მათი ერთად ყოფნის უკანასკნელ ხანებში რომ იცოდა, სწორედ იმგვარად. მის დანახვაზე ვითომ გაოცდაო, წამოიძახა:

— ო, შენა ხარ?! მე კი ცოცხალიც აღარ მეგონე.

კაცმა ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მართლა რომ მოვმკვდარიყავი, ეს ქალი, ალბათ, ისე განაგრძობდა ცხოვრებას, თითქოს არაფერი მომხდარაო.

ძალიან მოხდენილი ქალი იყო. კაცი ვერ მიხვდა, წავის, კურდღლისა თუ ასტრახანული ბეწვისა იყო ძვირფასი პალტო, მას რომ ეცვა. ვერც ტანისამოსის სადაურობა გაარკვია. სინანული იგრძნო, რად გავაჩერეო და უცებ მის გვერდით ჩია კაცად იგრძნო თავი. ხუმრობით სცადა გაექარწყლებინა ეს გრძნობა:

— ჰა, ჰა, რა საქმიანი ქალის სახე გაქვს!

— ვფიქრობ, კარგად მოიქეცი, განქორწინება რომ მოითხოვე. უთუოდ ამან მიშველა.

ერთ ხანს ქალს სულელივით ჩუმად მიჰყვებოდა შორიახლო, თითქოს უცნობს ასდევნებიაო. მასაც არ გამოუწვევია სალაპარაკოდ და კაცის შეკითხვაზე: როგორ ცხოვრობ, რას აკეთებო, — არც კი შეჩერებულა, ისე უპასუხა:

— ხომ ხედავ, მოვდივარ.

ასე გამოვიდნენ ბასტილიის მოედანზე. ახლა კაცს მარჯვნივ უნდა გადაეჭრა ქუჩა და სადგურში წასულიყო, მატარებლისათვის უნდა მიესწრო. მიბრუნდა კიდეც იმ მიმართულებით, ქალმა კი ხელი მარცხნივ გაიშვირა:

— მე იქით მივდივარ.

თქვა და გამოსათხოვებლად შედგა, იმის საჩვენებლად, რომ კარგად აღზრდილი ქალი ვარო, კაცი კი უხერხულად შეჩერდა, არ იცოდა, როგორ დამშვიდობებოდა. ამ ქალს შეუძლია თავის ნაცნობებს უამბოს: ქუჩაში ამედევნა და ძლივს ჩამოვიცილეო. ამის მსგავსი რომ არაფერი ეფიქრა, ქუჩის მეორე მხარეს კაფეზე ანიშნა და შესთავაზა:

— თუ არ გეჩქარებოდა, შევსულიყავით.

ქალს გაეცინა, წამით დაფიქრდა და უპასუხა:

— კარგი, შევიდეთ, თუმცა სასაცილო კია.

შევიდნენ. ერთმანეთის პირდაპირ მიუსხდნენ მაგიდას. ქინაქინის არაყი მოითხოვეს. მოუტანეს.

უცნაური რამ მოხდა, ქალისათვის სრულიად მოულოდნელი. ყოველ საღამოს, სამსახურიდან შინ დაბრუნებისას, როდესაც კარს გაუღებდა ხოლმე, ქმარს ჩვეულებად ჰქონდა ეკითხა: „აბა, გისმენ?“ ამით უნდოდა ეთქვა: აბა, გისმენ, მიამბე, რა მოხდა ჩემი არყოფნის განმავლობაში. ახლა უკვე რვა წელიწადი იყო, მათ ერთმანეთი არ ენახათ და კაცს მაინც ეს სიტყვები მოადგა ენაზე. პირი გააღო თუ არა სალაპარაკოდ, უნებურად ეს ორი სიტყვა ამოთქვა:

— „აბა, გისმენ“! — არასოდეს არ მიუმართავს ამ სიტყვებით მეორე ცოლისათვის.

ქალმა ღიმილი ვერ შეიკავა და თავი დააქნია ამ ორი, ოდესღაც ნაცნობი სიტყვის გახსენების ნიშნად.

მასაც დაემართა მსგავსი რამ. წინათ, ერთად ცხოვრების დროს, როდესაც ქმარს სამსახურში ისტუმრებდა, ჩვეულებად ჰქონდა თავიდან ფეხებამდე ყურადღებით შეეთვალიერებია და მზრუნველობით გაესწორებია ტანსაცმელი. კაცი ხომ არასოდეს აქცევდა ყურადღებას თავის ჩაცმულობას. ახლაც, მისდა უნებურად, ქალის თვალებმა ჩვეული სისწრაფით შეათვალიერა იგი.

— კიდევ ვერ გისწავლია ყელსახვევის შეკვრა. აბა, ცოტა დაიხარე, გაგისწორებ.

მართალი იყო. ერთმა ღმერთმა იცოდა მხოლოდ, როგორ ჰქონდა ყელსახვევი შეკრული.

კაცს გაეცინა და დაიხარა. გაწაფულმა თითებმა სწრაფად და კოხტად გამოკვანძეს ყელსახვევი. და როდესაც კაცმა კაფეს სარკეში ჩაიხედა, ქალმა სევდიანი ღიმილით უთხრა:

— უცნაურია, მაგრამ გული მტკივა, ცუდად ჩაცმულს რომ გხედავ.

უხერხულობის გრძნობა სადღაც გაქრა.

კაცი მოჰყვა თავის ცხოვრებას. სწორედ ისე, როგორც უწინ სამსახურის ამბებს უყვებოდა ხოლმე.

განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მეორედ დაქორწინდა. ახლა უკვე ორი გოგონა ჰყავს. უფროსი ექვსი წლისაა, უმცროსი კი ხუთისა. ისევ იმ ადგილზე მუშაობს. ცხოვრობს სენ-მანდეში. მასთან შეხვედრისას ვინსენის სადგურში მიდიოდა, რადგან ყოველდღე მატარებლით ბრუნდებოდა შინ. ეს იყო მთელი მისი ცხოვრება. თხრობა გაათავა და გაჩუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაცილო კი იყო, მაგრამ ახლა, როცა უფრო მეტს უყურებდა, ამჩნევდა, რომ ყურადღებით არასოდეს დაკვირვებია ქალს. ერთად ცხოვრების მთელი ხნის განმავლობაში ეგონა, თითქოს მის ცოლს ცისფერი თვალები ჰქონდა. განქორწინების შემდეგ კი, როცა მასზე ფიქრობდა, რატომღაც მომხიბლავი, დიდი ნაცრისფერი თვალები წარმოუდგებოდა თვალწინ. ეს თვალები პატრონის ჭკუას გაგრძნობინებდნენ. თავისი დაკვირვებები რომ გაუზიარა, ქალმა სიცილით უთხრა:

— ვხედავ, შენ არასოდეს არ გესმოდა ჩემი.

ქალს ძალიან აინტერესებდა მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი. ამიტომაც შეეკითხა:

— კმაყოფილი ხარ ცოლით, როგორია იგი?

— იცი, ალისა, რამდენი ცოლიც არ უნდა მოიყვანოს კაცმა, სინამდვილეში მხოლოდ ერთი ჰყავს — პირველი. მე მგონია, მამაკაცები მეორედ მხოლოდ იმიტომ ქორწინდებიან, რომ საკუთარი კერა ჰქონდეთ და ბავშვები ჰყავდეთ.

რა ნაღვლიანი სახე ჰქონდა ამ სიტყვების წარმოთქმისას! რა ბედნიერები იქნებოდნენ, ქალს რომ მოესურვებინა.

— აჰ, რატომ, რატომ მომატყუე ასე! — მწუხარედ წარმოთქვა კაცმა.

მათი ერთად ცხოვრების უკანასკნელ ხანებში, როდესაც ქმარი შეცდომებზე მიუთითებდა, ცოლი ყოველთვის პოულობდა გასამართლებელ მიზეზს. ახლა კი ქალმა წრფელი ხმით, წყნარად უპასუხა:

— რას იზამ! მას აქეთ რვა წელმა განვლო. ახალგაზრდობამ კი ბევრი შეცდომა იცის.

ის ახლა ისეთი კარგი და კეთილი იყო მის მიმართ, როგორც მათი ქორწინების პირველ ხანებში.

— აბა, ახლა შენ მიამბე, რას აკეთებდი ამ რვა წლის განმავლობაში, — განმეორებით სთხოვა კაცმა.

— აბა, რა უნდა გითხრა? ალბათ, თვითონაც არ მოისურვებ ყველაფრის ცოდნას, ჩემო მეგობარო. განა არ იცი, როგორ ცხოვრობს ქმარგაყრილი ქალი?

— ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ალისა, ისაა, რომ ცხოვრება არ გიჭირს, — ჩურჩულით წარმოთქვა კაცმა.

ახლა მაგიდასთან, ერთმანეთის პირდაპირ ორი ძლიერ დანაღვლიანებული მეგობარი იჯდა. ქალმა მობოდიშება დაიწყო:

— მაპატიე ცუდი შეხვედრა. თუმცა, აჯობებდა არ დაგლაპარაკებოდი. ხომ ხედავ, ეს შეცდომა იყო. დღეიდან უფრო უბედურები ვიქნებით.

უკვე გვიან იყო. კაფეს საათი რვის ნახევარს უჩვენებდა. ქალს არ უნდოდა კაცისათვის ოჯახური უსიამოვნების მიზეზი გამხდარიყო და წასასვლელად წამოიწია.

— ნუღარ დაიგვიანებ, პოლ, შენი ცოლი შეშფოთდება.

— ო, დიახ, მართალია. თუმცა, საბრალო ქალს, ჩემი განცდების გაგება უფრო შეაწუხებდა.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ისინი იმ ორ უბედურ ამხანაგს გავდნენ, ცხოვრებამ იმედები რომ არ გაუმართლათ.

ფრანგულიდან თარგმნა
ზეინაბ ბირკაიამ



ნამუშევრები ის. გარეჯანის მოთხუ ჭავრძე.

# ნუნუ დედაბრიშვილი

მხატვარი ნუნუ დედაბრიშვილი ნიჭიერ შემოქმედთა პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მის მხატვრობას ემჩნევა თემის თავისებური შერჩევა. მის პალიტრას კი შესატყვისი ფერთა ჟღერადობა აქვს.

ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს, სადაც დავით კაკაბაძისა და ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობდა, მან სათანადო უნარი და დაინტერესება გამოამჟღავნა, როგორც ჟანრული ხასიათის კომპოზიციების მქონე სურათებში, ასევე პორტრეტულ მხატვრობაში.

ნუნუ დედაბრიშვილი ცნობილი ქართველი მწერლის — შიო არაგვისპირელის შვილია. ნუნუს ხატვა ბავშვობიდანვე იტაცებდა და 12-13 წლის ასაკში უკვე მონაწილეობდა გამოფენაზე. 1930 წელს ნ. დედაბრიშვილი შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

ნ. დედაბრიშვილი მუშაობს ჟანრულ კომპოზიციებზე, პორტრეტებსა და პეიზაჟზე. ჟანრულ-ყოფაცხოვრებითი ხასიათის ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია „ნათლობა ხევსურეთში“ (1961 წ.).

ნ. დედაბრიშვილის ნამუშევართა შორის არის ტილოები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ცხოვრების აქტუალურ თემებს; ასეთია ნამუშევარი „ბელიაევის გასეირნება კოსმოსში“ (1965 წ.). ამ სურათში წარმოდგენილია კოსმოსის დამპყრობი გმირი, მისი სახე აღსავსეა გმირული შემართებით, ვაჟკაცობით და ენთუზიაზმით.

სპორტული ხასიათის სიუჟეტზე საინტერესოდ და შინაგანი დამაჯერებლობით არის დაწერილი „ბრაზილიელთა ფეხბურთი“ (1965 წ.). ამ ტილოზე წარმოდგენილი არიან ცნობილი ფეხბურთელები — პელე და გარინჩა. მათი სახეები, სხეულის მოძრაობა, პოზები ატარებენ სპორტის ამ სახეობისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანდობლივ თვისებას.

ნ. დედაბრიშვილის მიერ შესრულებულ პორტრეტებს შორის, როგორც შინაგანი განწყობილების გამოვლენის, ისე ტექნიკური ხერხების მხრივ, საყურადღებოა „უსინათლო ქალი“ (1961 წ.), „შოპენის სახე“, „ფრანგი მანდილოსანი“. კოლორიტის თავისებურებას მხატვარი უფრო მკვეთრად ავლენს ისეთი ყაიდის პორტრეტში, როგორიცაა „აჭარელი ჩაის მკრეფავი ნარგიზა“. გოგონას ჩალის ქუდის ყვითელი ფერი, მისი ვარდისფერი კაბის ფერი ჰარმონიულად არის დაკავშირებული ლაჟვარდი ცის ფონთან.

ნუნუ დედაბრიშვილი პეიზაჟური მხატვრობის საინტერესო ოსტატია. „რიწის ტბა“ (1964 წ.), „საირმე“. „ბიჭვინთა“, „გზა რიწისაკენ“, ნამუშევართა იმ ციკლს ეკუთვნის, რომელიც მხატვარმა ბუნების სილამაზის ღრმა გაგებით დაწერა.

1966 წელს ეკუთვნის ტილო, რომელსაც „თამარ მეფის დაკრძალვა“ ეწოდა. ამ სურათში მომენტის დრამატულობას ნ. დედაბრიშვილი აღრმავებს როგორც კომპოზიციის გადაწყვეტის, ასევე მასში აქსესუარების განლაგების საშუალებით. ეს ნამუშევარი გამოირჩევა ნ. დედაბრიშვილის მხატვრობისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალობით. საკუთარი ხელწერა დიდი ღირსებაა ყოველი შემოქმედისა და სწორედ ამ ძვირფასი ღირსებით არის აღბეჭდილი ნუნუ დედაბრიშვილის მხატვრობა.

**ლადო გუდიაშვილი,**
**საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი,**
**რუსთაველის პრემიის ლაურეატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმადლობთ!



ნელ-ნელა იხსნება ფარდა. გაზაფხულის მადლით გაცისკროვნებული სცენა და დარბაზი ფერად-ფერად ვარდ-ყვავილებს მოუქარგავს. ალუბლისა და იასამნის შტოებით ხელდამშვენებული ახალგაზრდებით, ჭარმაგი ვაჟკაცებითა და მანდილოსნებითაა გაჭედილი დარბაზი.

სცენაზე თაიგულებით შემკული იუბილარის საპატიო სავარძელში ზის კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდისტი გუია ბერულავა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები, გუიას კოლეგები და მეგობრები...

ქალი ზის სავარძელში. ჭკვიანი შუბლი ოფლს დაუცვარავს და დარბაზში იღვრება მოგონებათა ნაკადი...

შავბნელი წლები. თავისუფლებისათვის მებრძოლი მამა. მშობლიური სოფელი კურზუ. ტალახიანი შუკები. კორტოხზე წამოდგმული ისლით გადახურული ქოხი. ფიჩხით აბრიალებული შუაცეცხლი. ცეცხლთან მიყუჟული ფეხშიშველა გოგონა. ცეცხლის ალზე ჩამარცვლილი პირველი ანბანი და მერე დაუოკებელი სიყვარული წიგნისა.

...მერე გამარჯვებისა და თავისუფლების დღეები. საყვარელი დედაქალაქი თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის ნათელი აუდიტორიები, ლექციები, წიგნებზე გათენებული უძილო ღამეები, თვალსა და ხელშუა გაფრენილი სტუდენტობის წლები.

...და ისევ წიგნები, მისი სათაყვანო წიგნები, თაროებზე მხარი-მხარ ჩაწყობილი, სათუთად მოვლილი. ახალგაზრდა ბიბლიოთეკარის წინ, მაგიდაზე გაშლილი ჟურნალები, გაზეთები, ოთახში სიჩუმე. ნორჩ მკითხველთა მთელი არმია:

— გუია დეიდა, თქვენს ბიბლიოთეკაში მინდა ჩავეწერო!

— თუ შეიძლება მომეცით „იავნანამ რა ჰქმნა?“

— მე „ბიძია თომას ქოხი“ მინდა.

გუია ყოველთვის ასაკის მიხედვით ურჩევს პატარებს წიგნებს და თან არიგებს:

— კითხვის დროს თითოეული სტრიქონი მკაფიოდ წაიკითხე. როცა ერთ თავს ჩაიკითხავ, უსათუოდ შინაარსი მოჰყევი, თუ გინდა მთელი წიგნის შინაარსი დაგამახსოვრდეს და მეტყველებაც გაიუმჯობესო...

ბიბლიოთეკარი მოსწავლეებს მხატვრული ლიტერატურის გარდა ასაკის შესაფერის წიგნებს ურჩევდა ბუნებისმეტყველებიდან, ტექნიკიდან, ისტორიიდან და სხვა...

იგი ყოველთვის ზრუნავდა წიგნების ფონდის გადიდებისათვის. საკუთარი გროშებითაც იძენდა წიგნებს ბიბლიოთეკისათვის, საყვარელი მკითხველებისათვის.

გუია ბიბლიოთეკაში აწყობდა წიგნების გამოფენას, მოსწავლის მიერ წაკითხული წიგნების განხილვას. განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. განხილვის წინ მოსწავლეებთან ატარებდა საუბრებს, კონსულტაციებს. ბავშვები კამათობდნენ, იწერდნენ შენიშვნებს. იზრდებოდა მკითხველთა რიცხვი.

ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ გუიასთან ბავშვები და სთხოვდნენ ხშირად მოეწყოთ წიგნების განხილვა. იგი ურჩევდა მოსწავლეებს შეედგინათ დღიური და ჩაეწერათ შიგ თავიანთი აზრი წაკითხული წიგნების შესახებ. ამით ის კონტროლს უწევდა მოსწავლეებს, თუ როგორი ყურადღებით კითხულობდნენ ისინი წიგნებს და როგორ ითვისებდნენ წაკითხულს.

გუია ბერულავა უკვე 14 წელია რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მეთოდისტად მუშაობს და თავისი საქმის აღიარებული ხელოვანია. იგი 55 ნაშრომის ავტორია, ლექციებს კითხულობს ბიბლიოთეკართა ახალგაზრდა კადრების გადასამზადებელ კურსებზე.

ბიბლიოთეკარები ხშირად ჩამოდიან რაიონებიდან მასთან რჩევა-დარიგებისა და კონსულტაციის მისაღებად. ამ შესანიშნავ მეთოდისტს ხშირად შეხვდებით ბათუმში, ხულოში, ქედაში, ქუთაისში, სოხუმში, გუდაუთში, თელავში, გურჯაანში და ყველგან, ყველა საქალაქო თუ სარაიონო ბიბლიოთეკაში, ის იქ არის, საცა ყველაზე ძალიან უჭირთ. ეხმარება მათ მუშაობაში...

მივლინებიდან-მივლინებაში, ახლის ძიებაში, შემოქმედებით მუშაობაში ჩაიქროლეს გუია ბერულავას დაბადებიდან ექვსმა ათეულმა, ხოლო მუშაობის ოთხმა ათეულმა წელმა...

სიკეთეს არავის დაუკარგავს მადლიერი საზოგადოება.

...ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული გუიას უახლოესი ამხანაგები, მისი აღზრდილები და პატივისმცემლები...

დეპეშები, უამრავი დეპეშები, ადრესები, სიგელები... გულითადი მილოცვები: მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან, ოსეთიდან...

დარბაზიდან მადლიერების გრძნობით აღსავსე ადამიანები შესცქერიან ამ სათნო, ღვაწლმოსილ ქალს და ყველას ერთი აქვს მისთვის სათქმელი: გმადლობთ!

ოლია რევია

# სლოკინი და მისი გამომწვევი მიზეზი

გაზეთში გამოქვეყნდა სპეციალისტის სტატია — „სლოკინი და მისი გამომწვევი მიზეზები.“ სტატია ასე იწყებოდა: „ქ. თბილისის პავლოვის ქუჩა № 1000 ა-ში მცხოვრები დიასახლისი ელისაბედ შაორშაძე გვეკითხება: „შეიძლება თუ არა, სლოკინის გამომწვევ მიზეზად მაღალი წნევა მივიჩნიოთ?“

ვინაიდან მოქ. შაორშაძის მიერ დასმული საკითხი ფრიად პრობლემატურია და მეცნიერულ გაშუქებას მოითხოვს, რედაქციამ მიმართა ცნობილ სპეციალისტს თხოვნით, რათა ჩვენი გაზეთის საშუალებით“... და ა. შ.

მიიღო თუ არა ქ-მა ელისაბედმა ახალი გაზეთი, უმალვე შეეშვა უთოობას და კითხვად დაჯდა, მაგრამ ვინ აცალა!

ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— მომილოცნია, ქ-ნო ელისაბედ, დღევანდელ გაზეთში წერიხართ! — ღიმილით მიმართა მეზობელმა, შინაბერა თეონამ, რომელიც ოცი წელიწადია, რაც სამგზავრო მატარებელზე მუშაობს უბილეთო მგზავრად.

— ოჰ, რა სათქმელია! — დაირცხვინა ელისაბედმა.

ტელეფონი აწკრიალდა:

—ალო, ელისაბედი ხარ? მე პლატონი ვარ.

— უკაცრავად, რომელი პლატონი?!

— შენი დეიდაშვილის მამამთილი. კირკიტაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობათ, ბ-ნო პლატონ!

— რა ვნახეთ ეს გაზეთში, ა!... არ იცოდა შენმა ქმარმა შენი ამბავი და ჰე, ახლა! უსათუოდ გამოგივლით ამ საღამოს. მოსალოცია, მოსალოცი!

ელისაბედის ერთი ციცქნა ოთახი მეზობლებით აივსო.

— ყოჩაღ, ჩემო ელიჩკა, აგრე უნდა, აბა რა!

— ბეჩა, რა გიკვირთ, ვითომ, რა? უსტავლელი ქალია თუ?!

— შეხედე შენ! — დოინჯი შემოიყარა ორქმარგანაშვებმა მაიამ, — გენრიეტა კი არ ჩამობრძანდა და კი არ მოულოცა. უჰ, ის შურიჭიპა, ისა!

— რაა მოსალოცი! — ამაოდ იკვირვებდა ელისაბედი, რადგან ფეხს არავინ იცვლიდა.

ეზოს შუაგულში აპოლონი და გენრიეტა შეშფოთებულნი ჩურჩულებდნენ. გენრიეტას ცარიელი გრაფინი, ხოლო აპოლონს წყლით სავსე სათლი ეჭირა ხელში.

— კი, კაცო, კი, არ ვამბობდი მე?! არ შეიძლება მაგ წუნკლის ნდობა! რედაქციებთან აქვს კავშირი. „ნიანგშიც“ იბეჭდება, მარა ფსევდონიმებს იცვლის. არაფერი დაგცდეს მაგასთან! — აფრთხილებდა აპოლონი.

— რაც მე ანონიმკები მომდის, ყველა მაგის ნაბღაჯნია, — დამარწმუნებლად ამბობდა გენრიეტა, — ზედვე ეტყობა, რა სულიერიცაა!

ელისაბედი კი თითისტარივით ტრიალებდა ოთახში, კეთილისმსურველ მეზობლებს ხილითა და მურაბიანი ნაყენით უმასპინძლდებოდა და ხანდახან ყურზე იბწკენდა: იქნებ სიზმარში ვიყოო. მაგრამ, როცა რადიოში „რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა“ გადმოსცეს და მისი სახელი და გვარი ისევ ახსენეს, ელისაბედმა კოპები შეიკრა და შუბლზე თითი მიიდო: „იქნებ მართლა მაქვს კორესპონდენტის ტალანტი? იქნებ ეს ჩემი მოწოდებაა?“..

... ის დღე იყო და, ელისაბედი უთოობასაც შეეშვა და რეცხვასაც. ბავშვები თვითონ იმზადებენ საუზმეს, იკერებენ საკერებელს, იხდიან სინათლის ფულს...

ელისაბედი კი ზის და ახალ-ახალ შეკითხვებს იგონებს რედაქციისადმი. უკვე რამდენიმე გაგზავნა:

„რა უწყობს ხელს ფრჩხილების არანორმალურ ზრდას?“

„არის თუ არა ხვრინვის მიზეზი ვენების გაგანიერება?“

„შეიძლება თუ არა ადამიანს თავის სიცოცხლეში არ ამოუვიდეს სიბრძნის კბილი?“

მკითხველნო, თვალ-ყური ადევნეთ გაზეთს. ეს ბოლო საკითხი მართლაც საინტერესოა!

გიზო ზარნაძე

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## აღზრდის ხელოვნება

# ႣႤႣႨႱႤႰႧႠ

ბავშვის გაჩენა ოჯახის უდიდესი სიხარულია. ეს ახალი შუქის შემონათებაა, ახალ იმედთა წყარო.

ბედნიერია ის, ვისაც შესწევს უნარი ბოლომდე შეინარჩუნოს ეს სიხარული — აღზარდოს ღირსეული მოქალაქე, ქვეყნისა და ხალხისთვის სასარგებლო პიროვნება. ეს არის მშობლების უწმინდესი მოვალეობა, მათი მოქალაქეობრივი ღირსება.

ბავშვთა აღზრდის რთულ კომპლექსში ოჯახს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რამდენად მტკიცეა ოჯახი, რამდენად უნარიანია იგი აღზარდოს ახალი თაობა, იმდენად ძლიერია საზოგადოება, ეფექტურია მისი ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის.

ბავშვებს აწმყოს სტუმრებს და მომავლის მასპინძლებს უწოდებენ. საბჭოთა ბავშვები კომუნისტური საზოგადოების მომავალი მოქალაქენი და მშენებლები არიან. მათი აღზრდის საკითხის სწორად გადაწყვეტა კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის საწინდარია.

ყოველ მშობელს გულწრფელად სურს აღზარდოს თავისი შვილი ჯანსაღი და ძლიერი, შრომისმოყვარე და მამაცი, მაღალკულტურულ და შეგნებულ მოქალაქედ, ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ ადამიანად.

როგორიც არ უნდა იყოს მშობელთა განათლებისა და ცოდნის დონე, ისინი მაინც ცდილობენ შეითვისონ მონაცემები, რომლებიც დაუგროვებია მეცნიერებას აღზრდის შესახებ.

შემთხვევითი როდია, რომ მშობლები დიდი ყურადღებით და ინტერესით ისმენენ ლექციებს ბავშვთა აღზრდის შესახებ და მრავალ შეკითხვებსაც იძლევიან.

ბუნებრივია, რომ მშობლებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი შვილები, ისინი მათი ხორცი და სისხლი არიან. მაგრამ მხოლოდ ხორცისა და სისხლის ახლობლობაზე დამყარებული სიყვარული არ არის ადამიანური სიყვარული. სისხლისა და ხორცის ახლობლობით წარმოშობილი სიყვარულიდან უნდა განვითარდეს სულიერი მახლობლობა, მაღალი, ჭეშმარიტი მახლობლობა, რომელიც ადამიანის კეთილშობილური ბუნების ნიშანთვისებაა.

სამართლიანად აღნიშნავდა გორკი: შვილების სიყვარული ფრინველებსაც კი შეუძლია, მთავარია მათი აღზრდა. ეს არის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, საქმე, რომელიც მოითხოვს დიდ ტალანტს და ცხოვრების ღრმა ცოდნასო.

ჩვენ ვზრდით საბჭოთა მოქალაქეს, ვზრდით მასში საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს. ცნობილია, რომ საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი ღირსება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეუძლია მას იყოს ადამიანთა კოლექტივის წევრი, იშრომოს და იცხოვროს კოლექტივში.

ოჯახურ აღზრდაში სწორედ ამ თვისებებს უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, ეს შეადგენს საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვს და-ძმის, ამხანაგის, მეგობრის სიყვარული, პატივისცემა, მათთან ურთიერთობის ჩვევები.

უპირველეს ყოვლისა ბავშვი ოჯახში ხედავს თავის მახლობლებს, მშობლებს, დაძმას. აქ იყრება ზნეობრივი აღზრდის პირველი მარცვლები. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ზრდის ამ მარცვლებიდან აღმოცენებულ ჯეჯილს გონიერი დედა, სათუთად ზრდის მომავალ მოქალაქეში სიყვარულს და პატივისცემის გრძნობას ჯერ მშობლებისა და დაძმისადმი, შემდეგ ამხანაგებისა და მეგობრებისადმი. ასე მზადდება კოლექტივის წევრი, ასე ეყრება საფუძველი მაღალი ზნეობის ადამიანის აღზრდას, საზოგადოების ღირსეული წევრის ჩამოყალიბებას.

ოჯახური კოლექტივი — ეს ბავშვის უპირველესი აღმზრდელია, მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების ბუნებრივი ასპარეზია.

მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ოჯახი, სადაც ერთადერთი ბავშვია. მას არ ჰყავს არც უფროსი და არც უმცროსი და-ძმა. ის მარტოდმარტოა. მშობლებს უსაზღვროდ უყვართ თავისი პირმშო, გადამეტებით ზრუნავენ მის ჯანმრთელობაზე, ანებივრებენ, სათუთებენ, უსრულებენ ყოველ სურვილს, თუნდაც მისთვის შეუფერებელსა და საზიანოსაც.

ასეთ პირობებში ბავშვი ეჩვევა ქედმაღლობას, ყოყოჩობას, ოჯახში თავს ყველაზე მაღლა აყენებს, უვითარდება ეგოისტური გრძნობები. ზოგჯერ მესამე, მეოთხე კლასის მოსწავლე დედას ან ბებიას ავალებს ჩააცვას ფეხსაცმელი, ბრძანების ტონით მიმართავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოუტანონ წყალი, არ უწევს ანგარიშს ოჯახის საერთო საჭიროებას, თავისი სურვილის შესრულებას უპირველეს საქმედ თვლის.

ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი ვერ ეგუება თანატოლებს, მას არ შეუძლია ბავშვთა კოლექტივში ყოფნა, ყოყოჩობს. სკოლაში ის ცუდ საქციელს ამჟღავნებს, ვერ იტანს მასწავლებლის შენიშვნას, იბუტება, ჯიუტობს.

ცხოვრებამ მრავალგზის დაასაბუთა, რომ ერთადერთი ბავშვები, რომლებიც ოჯახში ბავშვთა კოლექტივის გარეშე იზრდებიან, ცხოვრებაში უხეშნი, ქედმაღლები, ამავე დროს უსუსურნი, მხდალნი და უმწეონი არიან.

მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება ერთადერთი შვილის ხასიათის მავნე თვისებების შესახებ.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ დიდ ოჯახში გაზრდილი ბავშვის პირადი თვისებები მკვეთრად განსხვავდება მარტოდ გაზრდილი ერთადერთი შვილის პირადი თვისებებისაგან.

ოჯახურ კოლექტივში გაზრდილმა ბავშვმა იცის ამხანაგობა, მეგობრობა, შეუძლია თავისი ინტერესები შეუხამოს კოლექტივის ინტერესებს. ის მხიარულია, მოსიყვარულე, თავაზიანი, შრომას მიჩვეული.

შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში ერთადერთი ბავშვის პრობლემა არ წარმოადგენს ისეთ საზოგადოებრივ საშიშროებას, როგორც ჩვენს პირობებში, ვინაიდან იქ თვით საზოგადოების ხასიათი არ ეწინააღმდეგება ერთადერთი შვილის ხასიათს.

ცივი, მკაცრი, ერთპიროვნული ეგოისტი, გულგრილი, ქედმაღალი — ყველაფერი ეს ბუნებრივია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის, მაგრამ მიუღებელი და შეუთავსებელი საბჭოთა ადამიანისათვის.

ერთადერთი შვილი ყურადღების ცენტრშია ოჯახში. რაც უნდა ეცადონ მშობლები ისინი მაინც ვერ აუვლიან გვერდს გადაჭარბებულ გრძნობებს ბავშვის მიმართ, მიუღებელ განებივრებას. თავდავიწყებამდე მაამებლობას. ამ ერთადერთ ბავშვში იყრის თავს მშობელთა ბედნიერების ყველა პერსპექტივა. მშობლებისათვის შვილის უბედურება თუნდაც მრავალბავშვიან ოჯახში, აუწერელი უბედურებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ოჯახის კატასტროფას, რადგან სხვა ბავშვები კვლავ მოითხოვენ მშობლებისაგან მზრუნველობას, ყურადღებას, სიყვარულს, ისინი თითქოს ერთგვარად აზღვევენ ოჯახურ კოლექტივს სიკვდილისაგან. მაგრამ როდესაც ერთადერთშვილიან ოჯახში ხდება უბედურება, მშობლები კატასტროფის წინ არიან. ცარიელ ოჯახში ყოველი მცირე ნივთი დაკარგულს მოაგონებს და სასოწარკვეთილ პანიკაში აყენებს მშობლებს. ამავე დროს ამ ოჯახში აღარაფერი რჩება ისეთი, რაც ბუნებრივად წინ აღუდგება ამ ღრმა განცდას. არავინ მოითხოვს ყურადღებას და სიყვარულს, ვერავინ იზიარებს მწუხარებას, ვერავინ ამსუბუქებს მწარე განცდებს.

ერთადერთი შვილის აღზრდის საშიში გზა საბჭოთა ოჯახში ბოლოსდაბოლოს მიდის ოჯახის მიერ კოლექტივის თვისებების დაკარგვამდე, და ეს ხდება სრულიად შეუმჩნევლად, მექანიკურად.

მტკიცე, შეხმატკბილებული ოჯახური კოლექტივი — მშობლების შეთანხმებულობა, ერთსულოვნება, ოჯახის ყველა წევრს შორის გულისხმიერი, ერთმანეთისადმი მზრუნველი დამოკიდებულება ქმნის შესანიშნავ ატმოსფეროს ბავშვში კოლექტიური თვისებების აღზრდისათვის, მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებების ჩამოყალიბებისათვის, ისეთი პიროვნების აღზრდისათვის, რომელიც ინდივიდუალურ ინტერესებს შესანიშნავად ათავსებს კოლექტივის ინტერესებთან, როგორც საზოგადოების წევრი, საზოგადოებრივი შრომა-საქმიანობის აქტიური მონაწილე. მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ კოლექტივში იღებს ინდივიდი თავის მონაცემთა ყოველმხრივი განვითარების საშუალებასო.

და სწორედ ამიტომ, კოლექტიური თვისებების აღზრდა ბავშვში საბჭოთა ოჯახის უწმინდესი მოვალეობაა, პირველი პირობა კი ამ მოვალეობის შესრულებისათვის მრავალშვილიანობა გახლავთ.

**მარიამ ბურჭულაძე,**

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

# ისევ კონსერვები

შემოდგომაა, სამზარეულოში ფუსფუსებს დიასახლისი. ამზადებს მურაბებსა და ჯემებს, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს.

მურაბებს შედარებით მოაკლდა თაყვანისმცემლები: ვიტამინების ნაკლებობაო, ზედმეტი სიტკბოო, ფერის დამუქებაო, რა ვიცი, რაღას არ „უგონებენ", სამაგიეროდ ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვებამ მოიპოვა დიდი პოპულარობა და მურაბებს კრიჭაში ჩაუდგა.

ამ ორი ათეული წლის წინათ კანტი-კუნტად თუ იცოდა რომელიმე დიასახლისმა ვიტამინები და მათი მნიშვნელობა. ახლა კი, ყოველი მეორე თუ არა, მესამე ქალი მაინც მშვენივრად ერკვევა, რომელ ხილში რა ვიტამინია და რას უხდება; მაგრამ, „ყოველ მეორესა" და დიასახლისების ახალ თაობას (ვინც იქნებ სწორედ წელს იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას) გვინდა შევახსენოთ ვიტამინების მნიშვნელობა; მივცეთ ზოგიერთი სასარგებლო რჩევა ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვებისთვის.

„ვიტამინი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სიცოცხლეს", რაც ჭეშმარიტად მეტყველებს ადამიანისათვის მისი მიღების აუცილებლობაზე. იშვიათია საკვები პროდუქტი, რომელიც ცოტათი მაინც არ შეიცავდეს ამა თუ იმ ვიტამინს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შედის ვიტამინები ახალ ხილსა და ბოსტნეულში. ზაფხული და შემოდგომა ამ მხრივ წლის შესანიშნავი დროებია, ადამიანი უხვად იღებს სასიცოცხლო ნივთიერებას — ვიტამინებს. ხოლო, რაც შეეხება ზამთარსა და გაზაფხულს, აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა, ხილი ნაკლებადაა და ასეც რომ არ იყოს, მოკრეფიდან რამდენიმე თვის შემდეგ მკვეთრად მცირდება მასში ვიტამინების რაოდენობა.

ხილსა და ბოსტნეულში ვიტამინების შენარჩუნების საუკეთესო მეთოდად ითვლება დაკონსერვება: დაკონსერვებული ხილი და ბოსტნეული 75-80 პროცენტით ინარჩუნებს ვიტამინების რაოდენობას.

## ატმის კომპოტი

აიღეთ საღი, დაუბეჟავი, ოდნავ მაგარი ატამი. გაფცქვენით, სახლეჩს კურკა გამოაცალეთ; სათლელი შეგიძლიათ მთელ-მთელი დატოვოთ ან დაჭრათ. გამზადებული ნაყოფი ჩაალაგეთ ქილებში ისე, რომ $^1/_4$ შეუვსებელი დარჩეს, დაასხით შაქრიანი წყალი და გაუკეთეთ სტერილიზაცია.

გამოთქმა „შაქრიანი წყალი" აქ სპეციალურად ვიხმარეთ. შრომის გაადვილების მიზნით შეიძლება სიროფი სულაც არ მოხარშოთ. ცალკე ცივ წყალში გახსენით საჭირო რაოდენობით შაქარი და დაასხით ქილებში წინასწარ ჩალაგებულ ნაყოფს. მოხარშულ სიროფს ერთი უპირატესობა აქვს: ქაფის მოხდის შედეგად განსაკუთრებით გამჭვირვალე და კრიალა გამოდის. რაც შეეხება შაქრისა და წყლის პროპორციას, აქ დიასახლისს სრული თავისუფლება ენიჭება. საერთო დადგენილი წესის მიხედვით, ვიღებთ 2 ან $2^1/_2$ ლიტრ წყალსა და ერთ კგ შაქარს. მაგრამ ასეთი სიროფით დამზადებული კომპოტი ძალიან ტკბილი გამოდის და მხოლოდ შაქრის ზედმეტად მოყვარულთ შეუძლიათ ისარგებლონ, ატამი ხომ ისედაც ტკბილი ხილია. იმათ კი, ვინც ნაკლებად ეტანება ტკბილს, შეუძლიათ მთლად უშაქრო — სუფთა წყლით გააკეთონ კომპოტი. ასე დამზადებული კომპოტი უფრო იოლი მოსანელებელიცაა; თანაც, არ დაგავიწყდეთ, ახლა სიგამხდრეა მოდაში, შაქარი კი სიგამხდრის პირველი მტერია.

### სტერილიზაციის საერთო წესი

ნაყოფითა და სიროფით სავსე ქილებს დაახურეთ (ნუ დაბეჭდავთ) წინასწარ გამოხარშული თავსახურები და ჩაალაგეთ წყლიან ქვაბში (ქვაბის ძირზე წინასწარ ჩააფინეთ სუფთა ტილო ან ჩადეთ ფანერის ნაჭერი), ქვაბს დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. როდესაც ქვაბში წყალი ადუღდება, დანიშნეთ საათი, თუ კომპოტს ნახევარკილოიანი ქილებით აკეთებთ, უნდა იდუღოს 8-10 წუთი, თუ კილოიანებში — 12 წუთი, ხოლო თუ სამკილოიანებში — 20 წუთი. შემდეგ ქილები სათითაოდ ამოიღეთ და დაბეჭდეთ.

### ყურძნის კომპოტი

კარგი ხარისხის თითა ყურძენი დამარცვლეთ, ჩააწყვეთ ქილებში, სასურველია გაავსოთ, დაასხით თქვენი გემოვნებით დამზადებული სიროფი და გაუკეთეთ სტერილიზაცია.



### კომშის კომპოტი

კომშის კომპოტი გამოირჩევა განსაკუთრებული სურნელებითა და არომატით.

მთელ-მთელი კომშები მოწალეთ მდუღარე წყალში, გაგრილეთ, გაჭერით ოთხ თანაბარ ნაჭრად, ამოაცალეთ გული, ჩააწყვეთ ქილებში და გაუკეთეთ სტერილიზაცია საერთო წესით.

### შინდის კომპოტი

კარგი ხარისხის გადაუმწიფებელი შინდი გაარჩიეთ, ჩააწყვეთ ქილებში ისე, რომ ქილის ნახევარი დაფაროს. დაასხით სიროფი (სასურველია ტკბილი) და გაუკეთეთ სტერილიზაცია.

### აჯაფსანდალი

ბადრიჯანი დაჭერით ბრტყელ ან მრგვალ ნაჭრებად და ტაფაზე სათითაოდ შეწვით.

ცალკე მოშუშეთ ხახვი, დაასხით ზედ წინასწარ გახეხილი პამიდორი, უყავით მწვანე წიწაკა (შეგიძლიათ ბულგარულიც მიუმატოთ), ნიორი, ოხრახუში, რეჰანი და ადუღეთ 5-7 წუთის განმავლობაში.

ქილებში ჩააწყვეთ ერთი ფენა შემწვარი ბადრიჯანი და მოასხით რამდენიმე კოვზი ზემოთნაჩვენები საწებელი. ასე გაიმეორეთ, ვიდრე ქილა არ გაივსება. შემდეგ საერთო წესის მიხედვით გაუკეთეთ სტერილიზაცია 30-40 წუთის განმავლობაში.



### მთელ-მთელი ბადრიჯანი

აიღეთ მომცრო ზომის კარგი ხარისხის ბადრიჯანი. მოაცილეთ ყუნწები, დაასხით მდუღარე წყალი, მოწალეთ (ასე უფრო მეტი ეტევა ქილაში), შემდეგ ჩააწყვეთ ქილებში, დაასხით უმარილო წყალი (მარილიანი წყლით მწკლარტე გამოდის) და გაუკეთეთ სტერილიზაცია.

დამზადებული ბადრიჯნის კონსერვით ზამთარში შეგიძლიათ გააკეთოთ აჯაფსანდალი, შეაზავოთ იგი ნიგვზით და ა. შ.

### ბულგარული წიწაკა

წიწაკას გამოაცალეთ თესლი. ქილაში რომ ბევრი ჩაეტიოს, ჩააწყვეთ ერთმანეთში. ერთ წიწაკაში ჩადებთ მეორეს, შემდეგ მესამეს და ა. შ. დაასხით სუფთა, უმარილო წყალი და გაუკეთეთ სტერილიზაცია.



### პამიდორი

აიღეთ მომცრო ზომის მკვრივი პამიდორი, სასურველია ცოტა სიმწიფემოკლებული, ჩააწყვეთ ქილებში, ფენასა და ფენას შორის ჩააყოლეთ ერთი-ორი ნიახურის ფოჩი, ოხრახუში, კამა, ნიორი, ბულგარული და მწვანე წიწაკა. დაასხით მარილიანი წყალი (მარილი ოდნავ უნდა ეტყობოდეს), და გაუკეთეთ სტერილიზაცია.

ასე დამზადებული პამიდორი სუფრას ლაზათს აძლევს და ძალიან გემრიელიცაა.

კერძის შესაზავებლად პამიდორი შეგიძლიათ მეორე წესით დააკონსერვოთ:

ქილა გაავსეთ მომცრო ზომის საღი პამიდორით. ცალკე გახეხეთ უფრო მწიფე და რბილი პამიდორი, 5-6 წუთი ადუღეთ, გააგრილეთ და დაასხით ქილებში გამზადებულ პამიდორს, გაუკეთეთ სტერილიზაცია. ასეთი პამიდვრით შეზავებული სადილი ზამთარში საზაფხულო კერძს მოგვაგონებს.

## გამოხმაურება წერილზე — „ღია ბარათი ჩემს უცნობ მშობლებს"

# ის არ არის ჩემი დედა

წავიკითხე „ღია წერილი ჩემს უცნობ მშობლებს" და სურვილი მაქვს გამოვეხმაურო მას.

გითანაგრძნობთ თქვენივე მდგომარეობაში მყოფი, მხოლოდ არა თექვსმეტის, არამედ 32 წლისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თქვენ თუ ახლა, ამ ასაკში იტანჯებით, მე ეს გამოვიარე უფრო ადრე, მთლად ბავშვმა. ჩემი მშობლები ძალიან ფრთხილობდნენ, არ გამეგო ეს მძიმე ამბავი, მაგრამ დაუფიქრებელმა ადამიანებმა გაამხილეს საიდუმლო. მაგალითად, როდესაც სადმე წამიყვანდნენ სტუმრად, აუცილებლად იკითხავდნენ: ვისია ეს კარგი გოგონა? — პასუხი ასეთი იყო: დაასახელებდნენ ჩემს მშობლებს და თანაც დაუმატებდნენ, შვილად რომ აიყვანესო. იმდენი არ ესმოდათ, რომ ჩემს ბავშვურ ცნობისმოყვარეობას ეს არ გამოეპარებოდა...

მიუხედავად ჩემი სულიერი ტრამვისა, არ მინდოდა ტკივილი მიმეყენებინა ჩემი მეტად კეთილი და მზრუნველი აღმზრდელებისათვის და ამ საშინელ საიდუმლოს ვერავისთან ვამჟღავნებდი. 16 წლის რომ გავხდი, გარდამეცვალა მამა. მამას ჩემი ტანჯვა არ გაუგია, რითაც კმაყოფილი ვარ. მაგრამ მე მაინც მაწვალებდა ფიქრი იმ „ვიღაც ქალზე", რომელმაც მშობა და, მიუხედავად ძალიან დიდი სიფრთხილისა, აღმზრდელი დედის ყურამდე მაინც მიაღწია ჩემმა სურვილმა. თუმცა ამ საკითხზე არასოდეს გვისაუბრია.

არავითარი გრძნობა არ მაიძულებდა მეფიქრა იმ „ვიღაც ქალზე" (მე ყოველთვის ასე ვიხსენებ მას), მაგრამ ინტერესი ძალიან დიდი მქონდა, ქუჩაში გამვლელი ყველა ქალი ის მეგონა, და საერთოდ, ბევრი, ბევრი რამ მაწუხებდა... დიდი, ფრთხილი ცდის შედეგად დავადგინე მისი გვარი, სპეციალობა, და ის რომ... დიდი ხანია მოკვდა...

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მე მაინც ვეძებდი მას მკვდარს. „იქნებ ჩემზე ფიქრმა დაასნეულა, ან თავი მოიკლა“ — ახლა ეს აზრი ამეკვიატა და ვეძებდი მის საფლავს, ამბის მთხრობელს.

მაგრამ...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, 23 წლის ასაკში, მე იგი ვნახე სამსახურში, ქალი, სრულიად ჯანმრთელი და არა მკვდარი, ქმარ-შვილიანი. ვიხილე მისი პიროვნება და... მივტირი იმ დროს, იმ საათებს, იმ წუთებს, როცა მე მთლად ბავშვი, ყველასაგან გამოთიშული, მერხზე იდაყვებდაყრდნობილი, ვფიქრობდი მასზე: „ვინ იყო, რამ აიძულა იმ მდგომარეობამდე მისულიყო, რომ მე დავეტოვებინე?“.

ჩემო უცნობო პატარა მეგობარო! ასეთი ადამიანები დაფიქრების ღირსნიც არ არიან. რა გამოიწვია მისმა ნახვამ ჩემში? — სიძულვილი, ზიზღი. მეზიზღება ადამიანი, რომელმაც მშობა, მეზიზღება და ვფიქრობ: რატომ მშობა მან და არა დედაჩემმა! ვინ არის ეს ქალი, რატომ ჩავისახე მის მახინჯ სულში და სხეულში (გარეგნულად ჩვეულებრივი ქალია, მაგრამ მე მასში ყველაფერს მახინჯს ვხედავ). გაცნობის დღიდან 10 წელი გავიდა, მაგრამ სულაც არ მაინტერესებს მისი არსებობა.

მაწუხებს მხოლოდ ერთი რამ: მასაც ჰყავს შვილები და მეც. ხომ შეიძლება მომავალში ისინი ბედმა სხვანაირად დააკავშიროს?

1956 წლის მერე ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, საჭიროა თუ არა, იცოდნენ ჩემმა შვილებმა ეს ამბავი?

პატივცემულო რედაქცია!

ადამიანები, რომლებიც თავს ვერ იკავებენ და ბავშვის ყურამდე მიაქვთ ასეთი ამბავი, დიდ ბოროტებას სჩადიან. ამას შეიძლება დიდი მწუხარება მოჰყვეს.

ლ. მ.

# წერილი უცნობ შვილს

მამა სამამულო ომში დამეღუპა; მალე დედაც გარდაიცვალა, დავრჩით ორი ობოლი. 13-14 წლის ასაკში გამათხოვეს, უფრო სწორად, ქმარი ჩემს ოჯახში მოვიდა. მალე შემეძინა ვაჟიშვილი, ქმარი აუტანელი ხასიათისა იყო, ვიტანდი ყოველივეს სირცხვილის გულისათვის. ბავშვი ხშირად ავადმყოფობდა, ბავშვის მამა, ბავშვის მოვლასა და საოჯახო საქმიანობაში დახმარების ნაცვლად ბრალად მდებდა, თითქოს მე ვიყავი მიზეზი ბავშვის ავადმყოფობისა, რამდენჯერ ფიზიკურადაც შემეხო. ერთხელ ბავშვი მძიმედ ავად გამიხდა, წავიყვანე საავადმყოფოში, ქ. მახარაძეში. იქაც მომვარდა და ლანძღვაგინება დამიწყო, მერიდებოდა მეთქვა ყოველივე ეს ჩემი ნათესავ-მეგობრებისთვის, მაგრამ საავადმყოფოდან რომ დავბრუნდი, იძულებული ვიყავი რაიმე მეღონა, გადავწყვიტე, თავი მომეკლა დავლიე საწამლავი, რამდენიმე თვე საავადმყოფოში ვიწექი, საავადმყოფოდან რომ გამოვეწერე, ბავშვი აღარ დამხვდა. გაეშვილებიათ, მახარაძეში წაეყვანა ნათესავს (ის უშვილო იყო). ქმართან კავშირი გავწყვიტე, მინდოდა შვილი დამებრუნებინა, მაგრამ მაშინ არ მქონდა მატერიალური და არც ფიზიკური შეძლება ბავშვის აღზრდისა (ის იზრდება ძალიან კარგ ოჯახში, მოსიყვარულე ადამიანებთან). გავიდა რამდენიმე წელი. მე გავთხოვდი ხელმეორედ. მყავს ერთი შვილი — გოგონა, მაგრამ ჩემი გული დამწვარია. ძალიან განვიცდი. ჩემი ბიჭი კარგ ოჯახშია, კარგად ზრდიან, მაგრამ თავს მაინც დამნაშავედ ვგრძნობ. ბავშვმა არ იცის, ვინ არის მისი დედა, არც მინდა იცოდეს.

მე მინდა მივმართო ჩემს შვილს! პატივი ეცი შენს აღმზრდელებს, ისინი არიან შენი დედ-მამა, უმათოდ შენ დღეს ცოცხალი არ იქნებოდი, ოღონდ ნუ დაიჯერებ ზოგიერთების ლაპარაკს, თითქოს მე გაგიმეტე ანგარებისათვის, ეს ტყუილია, მე ისედაც დატანჯული ვარ და შენც ნუ დამტანჯავ. იყავი აღმზრდელების პატივისმცემელი, სამშობლოსათვის გამოსადეგი. მეტი რა დავწერო, ჩემი სიცოცხლე მაინც გამწარებულია.

გ. ც.

# ჩემი შვილია

„საქართველოს ქალში“ დაბეჭდილმა მასალამ — „ღია წერილი ჩემს უცნობ მშობლებს“ — ისედაც გულნაკლულს, უფრო დამიკოდა გული.

13 დღის იყო ჩემი გოგონა, როცა ავიყვანე, სუსტი, პატარა, მოუვლელი. შიმშილისა და სიცივისაგან ტირილის თავიც აღარ ჰქონდა. ვიფიქრე, კარგი მოვლით და პატრონობით ჩქარა მოკეთდებოდა. მაგრამ 2-3 წლამდე ძლივს გამოვაჯანმრთელე. წარმოიდგინეთ, ალბათ, რა დღეც გადამხდებოდა; უძილო ღამეები და რამდენი ტანჯვა-წვალება! არ ვერიდებოდი არც ხარჯს, არც წვალებას, ოღონდ ძუძუ ეწოვებია ვინმეს, ისეთ მდგომარეობაში იყო, არაფერი სხვა არ გადაარჩენდა, გარდა ქალის რძისა. მეცოდებოდა, ვიტანჯებოდი მეც და ასე წვალებით გამოვზარდე. საბავშვო ბაღში ბავშვებში გამოირჩეოდა და ახლაც სკოლაში შესამჩნევია. ძალიან ნიჭიერი ბავშვია. ჯერ მხოლოდ ის იცის, რომ ჩემი შვილია.

გთხოვთ გამარკვიოთ, ვინ არის დედა? ნუთუ ის ქალი, რომელმაც შობა, მაგრამ ყოველთვის ეძებდა მომენტს გამოეხრჩო ბავშვი, არ აჭმევდა, არ უვლიდა, რომ მომკვდარიყო და გადაეგდო როგორც კატის კნუტი?

ჯერ თორმეტი წლისაც არ არის და ერთი მეზობელი მემუქრება, ყველაფერს ვეტყვიო. მე შიშით არ ვუშვებ მეზობლებში, მაგრამ როდემდე შევაკავებ ბავშვს, ან კი შეიძლება ჩაკეტვა? მაგრამ რა ვქნა. სხვა ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ ჯანმრთელი იყოს, ისწავლოს და ცხოვრებაში სასარგებლო ადამიანი დადგეს. რა დამემართება, რომ უთხრან, დედა სხვა გყავსო, ეს მე ვერც კი წარმომიდგენია, ვიცი მხოლოდ, რომ ბავშვი ჩემ სიცოცხლეს მირჩევნია.

პატივცემულ რედაქციას ვთხოვ, გაგვიწიოს შუამდგომლობა — კანონით ისჯებოდნენ ამისთანა ბოროტი ადამიანები, ისჯებოდნენ ისე, სხვებს რომ ეშინოდეთ მსგავსი დანაშაულის ჩადენისა. ნუ დაგვინგრევენ ოჯახს, ნუ წაგვართმევენ ბედნიერებას დედასაც და შვილსაც.

ლ. ქ.

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის საკონდიტრო კომბინატის მუშა ეთერი გავაშელი.
ფოტო ნორა ანთიძისა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII. 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 2974. უე 02199, ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.



## საშემოდგომო მოდები

მოდელი 1. შალის კაბა-კოსტუმი. შეჭრილი კოკეტი დაქარგულია თამასითა და მძივებით. ქვედატანი კლოში.

მოდელი 2. კაბა-კოსტუმი ბუკლირებული ქსოვილისაგან. ჟაკეტი ოდნავ გადმოშვებულია, ზურგზე შესაკრავი გაწყობილია დიდი დეკორატიული ჰალსტუხით.

მოდელი 3. ორბორტიანი კაბა-კოსტუმი აბრეშუმის ქსოვილისაგან. საყელო პატარა, დამდგარი. გაწყობილია ქუდის ქსოვილისავე დიდი ბაფთით.

მოდელი 4. შალის კაბა-კოსტუმი. ჟაკეტი მოკლეა, ორბორტიანი. ბორტები გაწყობილია დეკორატიული გვირისტით.

მოდელები და მხატვრობა ლ. ავალიანის.

ИНДЕКС 76178

6 7/181

ეროვნული ბიბლიოთეკა







